

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი



მალინა ბახტაძე

მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი

სამართალმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი-ლევან დუნდუა  
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2018

## ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში „მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი“ განხილულია ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც საოჯახო სამართლის ამოსავალ და ფუნდამენტურ საკითხებს ეხება.

ნაშრომში წარმოდგენლი თემა განხილულია არამარტო საქართველოს, არამედ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკისა და გამოცდილების მაგალითზე, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვანია, ჩვენს კანონმდებლობაში ზოგიერთი ხარვეზული ნორმის მოსაწესრიგებლად.

ნაშრომში განხილულია საოჯახო სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტები, როგორცაა ქორწინება, საქორწინო ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი გაურკვეველი, ხარვეზული ნორმა და ჩვენს მიერ წარმოდგენილია აღწერილი პრობლემური ნორმების გამოსწორების გზები და რეკომენდაციები. ნაშრომში ასევე განხილულია ხელშეკრულების შეწყვეტისა და ბათილობის საკითხები, რომლებიც პრაქტიკაში კიდევ სხვა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს, იმასთან მიმართებით რასაც კანონი არეგულირებს.

ნაშრომში ასევე განხილულია ქორწინების ინსტიტუტის ძველი ქართული ისტორიული ასპექტები, ნათლადაა წარმოდგენილი ის ცვლილებები, რომელიც ქორწინების ინსტიტუტმა განიცადა დროთა განმავლობაში.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში გადმოცემულია, როგორც ქართველი პრაქტიკოსი იურისტების, მათ შორის მოქმედი ნოტარიუსების, ისე უცხოელი მეცნიერ-იურისტების მოსაზრებები მეუღლეთა უფლება-მოვალეობასთან დაკავშირებით. ასევე წარმოდგენილია ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხზე მათი ხედვა და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც არ იქნება ურიგო ჩვენი კანონმდებლობისათვის. ნაშრომის მიზანი სწრედ ამ თემებთან დაკავშირებული სადაო საკითხების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება გახლავთ.

## **Annotatin**

### **Malina Bakhtadze**

The master's work "The Rights of Spouses" is considered important issues concerning the fundamental issues of family law. This work deals with the practice and experience of Georgia as well as European countries, which is important in our legislation to deal with the norms of sophistication.

The paper contacts and grievous norms related to it, our work presents the ways and recommendation to correct these problems, as well as issues related to termination and dipution of the contract, in practice, other rights obligations, in relation to watch the law regulates.

The works also deals with the old Georgian historical aspects of the Marriage Institute, as well as the changes that have been instilled in the Institute of Marriage.

In our work the opinions of Georgian lawyers and notaries as well as Foreign Scientist's opinion are presented with the rights of the spouses, here are also their views and recommendations on same of the important issues that can not be ruled out for our legislation. The aim of our work is to discuss these issues and develop recommendations.

## სარჩევი

შესავალი .....	4
თავი პირველი <sup>9</sup>	
ოჯახის ცნება ძველ ქართულ და თანამედროვე სამართალში.....	9
თავი მეორე	
ქორწინების ინსტიტუტი.....	13
2.1 ქორწინების ცნება.....	13
2.2. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები.....	30
2.3 ქორწინების შეწყვეტა .....	34
2.3 ქორწინების ბათილობა.....	42
თავი მესამე	
მეუღლეთა სამართლებრივი ურთიერთობანი.....	47
3.1 მეუღლეთა პირადი ურთიერთობები .....	48
3.2 მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები .....	52
თავი მეოთხე	
საქორწინო ხელშეკრულების ისტორიულ-სამართლებრივი მიმოხილვა.....	58
თავი მეხუთე	
მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა.....	63
დასკვნა.....	68

## შესავალი

საზღვარგარეთის გამოცდილების, ქართულ სამართლებრივი დოქტრინისა და პრაქტიკის სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ახლებურად მოწესრიგება. სამოქალაქო კოდექსში გაერთიანდა ყველა ის ნორმა, რომლებიც სამოქალაქო კანონმდებლობის პარალელურად, სამართლის ცალკე დარგებს ქმნიდნენ. აღნიშნული სიახლე შეეხო საოჯახო სამართალსაც.

საქართველოს საქორწინო და საოჯახო კოდექსი 1970 წლიდან დამოუკიდებლად არსებობს, რომელიც არეგულირებდა ოჯახთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ეს ურთიერთობები შეიძლება ყოფილიყო როგორც პირადი ხასიათის, ისე ქონებრივი ხასიათისაც. ამ ურთიერთობებს ქონდათ საოჯახო შინაარსობრივი დატვირთვა. საქართველოს საქორწინო და საოჯახო კოდექსის გაუქმება განაპირობა ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებამ. ახალი დროის შესაბამისი საოჯახო სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა მოთავსდა საქართველოს 1977 წლის სამოქალაქო კოდექსის მეოთხე წიგნში, რომელიც წარმოადგენდა ქართული კოდექსის ერთ-ერთ დასკვნით ნაწილს. სამოქალაქო კოდექსის პირველივე მუხლში აღნიშნულია, რომ საოჯახო ურთიერთობები სამოქალაქო ურთიერთობათა ნაირსახეობას წარმოადგენს.

ზოგადად, საოჯახო სამართლის ინსტიტუტი ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობის ისტორია. ოჯახთან დაკავშირებული ურთიერთობები ძველად რეგულირდებოდა ჩვეულებებით. მოგვიანებით კი მათი ადგილი სამართლებრივმა ნორმებმა დაიკავა, რომელთა ერთობლიობაც წარმოადგენს საოჯახო სამართალს.

ტრადიციული განმარტებით საოჯახო სამართალი არეგულირებს ოჯახის წევრთა შორის წარმოშობილ პირად და ქონებრივ ურთიერთობებს. რაც შეეხება ოჯახს, ის

წარმოადგენს იმ პირთა ერთობლიობას, რომელთა შორის ურთიერთობა რეგულირდება საოჯახო სამართლით<sup>1</sup>.

საოჯახო სამართლით რეგულირებული პირადი და ქონებრივი ურთიერთობები განსხვავდება სამოქალაქო სამართლის სხვა ცალკეული ინსტიტუტებით რეგულირებული მსგავსი ურთიერთობებისგან. საოჯახო ურთიერთობები უმეტესად ისეთი უფლებების წარმოშობას ედება საფუძვლად, რომლებიც ოჯახის ერთი წევრის პირად დამოკიდებულებას განსაზღვრავს მეორის მიმართ. საოჯახო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია ის, რომ მათი წარმოშობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დამოკიდებული მონაწილე პირების ნებაზე, უმეტეს შემთხვევაში ისინი მათი ნების საწინააღმდეგოდ წარმოიშობიან. შეუძლებელია საოჯახო უფლებებზე და მოვალეობებზე უარის თქმა.

ოჯახში წარმოშობილი ქონებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება განპირობებულია მათი საზოგადოებრივ-ეკონომიკური მნიშვნელობით. მეუღლეების, აგრეთვე ოჯახის სხვა წევრების უფლება-მოვალეობები ეხება ასევე საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესებსაც. ახალმა სამოქალაქო კანონმდებლობის შემუშავებამ საოჯახო სამართლის პრობლემების ახლებურად ხედვისა და გადაწყვეტის აუცილებლობა დააყენა დღის წესრიგში. მოქმედი სამართლებრივი ნორმების გამოყენების პროცესში თავს იჩენს სასამართლო პრაქტიკის დადებითი და ნაკლოვანი მხარეები.

ისევე, როგორც ნებისმიერი კანონმდებლობა, საოჯახო სამართალთან დაკავშირებული ნორმებიც დროთა განმავლობაში მოითხოვს გარკვეული სახით დახვეწას და სრულყოფას. აღნიშნული კი თავის მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია საოჯახო სამართალში წარმოშობილი სხვადასხვა სადაო საკითხის რაციონალურად გადაწყვეტის მიზნით.

ნაშრომში წარმოდგენილია ზოგიერთი პრობლემური საკითხი და ჩვენს მიერ მოცემულია მათი გადაჭრის გარკვეული სამართლებრივი რეკომენდაციები, რომელთა

---

<sup>1</sup> М. В. Антокольская, Гражданское учебник под семейное право, М., 1996; С. 7

გათვალისწინებაც ვფიქრობ, არ იქნება ურიგო მოქმედ კანონმდებლობაში საოჯახო სამართალთან დაკავშირებული ნორმების დახვეწისა და სრულყოფის მიზნით.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი რეკომენდაციები დაფუძნებულია თემაზე მუშაობის პერიოდში შესწავლილ იურიდიულ მასალებზე, პრაქტიკოსი იურისტების მოსაზრებებზე და მიღებული მონაცემების სტატისტიკურ ანალიზზე.

#### **ნაშრომის მიზანი და ამოცანები:**

ნაშრომის მიზანია იმ მნიშვნელოვანი და სადაო საკითხების განხილვა, რომლებიც საოჯახო სამართალთანაა დაკავშირებული. რეკომენდაციების შემუშავება წარმოდგენილია ქორწინების თავისუფლების პრინციპზე დაყრდნობით და უკავშირდება საქორწინო ხელშეკრულების გაფორმებას, მეუღლეთა სამართლებრივ ურთიერთობებს, ქორწინების შეწყვეტასა და ბათილობას, ურთიერთრჩენის (საალიმენტო) ურთიერთობებს მეუღლეთა შორის.

#### **ნაშრომის ამოცანაა შემდეგი საკითხების ანალიზი:**

- საოჯახო სამართლის ისტორიულ-სამართლებრივი მიმოხილვა საზღვარგარეთის და საქართველოს შედარების მაგალითზე;
- საოჯახო სამართლის თავისებურებანი, კერძოდ კი საქორწინო ხელშეკრულების დადების და მისი ბათილობის შედეგების წარმოჩენა;
- მეუღლეთა პირადი ურთიერთობების სამართლებრივი განსაზღვრა, მეუღლეთა თანაზიარი ქონების გაყოფის დროს წარმოშობილი ხარვეზების წარმოჩენა, თანაზიარი საკუთრების დაცვის სამართლებრივი ასპექტების შემუშავება, მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება;
- მეუღლეთა შორის ურთიერთრჩენის (საალიმენტო) მოთხოვნის წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა;
- სანოტარო რეგულაციების დაზუსტება თანაზიარი საკუთრების გაყოფისას;

#### **კვლევის მეთოდოლოგია:**

კვლევა აგებულია ნორმატიული თეორიის მიერ დადგენილი ანალიზის წესებზე. გამოყენებულია საკითხის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი,

რომელიც მიზნად ისახავს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და ქართული კანონმდებლობის თავისებურების დადგენას. მეორეს მხრივ, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ჩვენი კანონმდებლობის ზოგიერთი ნორმების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი გამოიყენება იმისთვის, რომ გაძლიერდეს მეუღლეთა უფლება-მოვალეობების განხორციელების პროცესში წამოჭრილი სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტისათვის ჩამოყალიბებული რეკომენდაციების არგუმენტირება.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია ისტორიული მეთოდი, რომლის საფუძველზეც დადგინდა მეუღლეთა უფლება-მოვალეობების და ზოგადად ქორწინების ინსტიტუტის სამართლებრივი განვითარების ტენდენციები და ამ გზით მოხდა დასაბუთება ნაშრომში წარმოდგენილი ზოგიერთი რეკომენდაციის მნიშვნელობის.

#### **ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა:**

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა განპირობებულია კვლევის მიზნებით, ამოცანებითა და შინაარსით. სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს დადგენილი სტანდარტებით ნაბეჭდ 73 გვერდს. იგი შედგება ანოტაციისაგან, შესავლისაგან, 5 თავისა და 6 ქვეთავისგან, დასკვნისა და სამაგისტრო ნაშრომის დროს გამოყენებული ლიტერატურის სიისგან, რომელიც შეიცავს 31 დასახელებას.

## თავი პირველი

### ოჯახის ცნება ძველ ქართულ და თანამედროვე სამართალში

ტერმინი „ოჯახი“ თურქული წარმოშობის სიტყვაა და ქართულად ნიშნავს კერას, სახლს, სასახლეს. ძველ ქართულში „ოჯახის“ სინონიმად გამოიყენებოდა „სახლი“, რომელიც შედგებოდა ქმრისა და ცოლ-შვილისაგან და იგი ერთობის აღმნიშვნელი სიტყვა იყო. სახლის ცნებას ოჯახი შუა საუკუნეებიდან ჩაენაცვლა, რომელიც ასოცირდებდა ცოლქმრობაზე, ნათესაობასა და ქონების მფობელობაზე დამყარებულ ურთიერთობაზე.<sup>2</sup> ივანე ჯავახიშვილმა დაასაბუთა, რომ V საუკუნის საქართველოში უკვე „სახლი“ არამარტო საგვარეულოსა და გვარს ნიშნავდა, არამედ ერთცოლიანობაზე დამყარებულ ოჯახსაც. შემდგომი ხომ ამგვარი მნიშვნელობა კიდევ უფრო და უფრო უნდა განმტკიცებულიყო.<sup>3</sup>

არსებობს ოჯახის ზოგად-სოციოლოგიური და სპეციალურ-სამართლებრივი ცნება. სოციოლოგიური გაგებით, ოჯახი არის პირთა ქორწინებაზე, ნათესაობასა და ბავშვის აღზრდაზე დაფუძნებული კავშირი.<sup>4</sup> თანამედროვე ოჯახი არის იმის რწმენა, რომ ადამიანის შრომით მიღებული შემოსავალი უმიზნოდ კი არ გაიხარჯება, არამედ მოხმარდება ოჯახის წევრების მატერიალური და კულტურული მოთხოვნების დაკმაყოფილებას. თუმცა, ადამიანები ოჯახის შექმნისას ეკონომიკური ამოცანების მიღწევას კი არ ისახევენ, არამედ ოჯახის შექმნის მიზანი ემსახურება ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემის ნიადაგზე მიდგომის გაგრძელებას.

ოჯახის შექმნის უძველეს და ყველაზე გავრცელებულ საფუძველს ქორწინება წარმოადგენს. ქორწინება დღევანდლამდე ინარჩუნებს ადამიანური არსებობისა და

---

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, *ენციკლოპედიური ლექსიკონი, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი*. თბილისი 2002. გვ 516, 597

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე*. თბილისი., 1928, გვ 24.

<sup>4</sup> რ. შენგელია, ე. შენგელა, *საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი*. თბილისი., 2015, მერიდიანი, გვ 11,12.

ურთიერთობის საუკეთესო შესაძლებლობას. ოჯახის შექმნა შესაძლებელია ქორწინების გარეშეც. ეს უმეტესად დაუქორწინებელი ქალის მიერ ბავშვის გაჩენის ან მარტოხელა პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანის შედეგად ხდება. ვინაიდან, ოჯახის შექმნის საფუძველი უმეტესად ქორწინებაა, სწორედ ამიტომ ცოლ-ქმარი საწყის ეტაპზე წარმოადგენენ ოჯახის წევრებს. ამ ურთიერთობას ლოგიკურად მოყვება ბავშვის გაჩენა. სწორედ ეს ურთიერთობები ქმნიან საოჯახო ურთიერთობათა ძირითად ბირთვს (მეუღლეთა შორის ურთიერთობა, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა და სხვა).<sup>5</sup>

ოჯახის შესახებ შესანიშნავ განმარტებას აკეთებს დიდი მკვლევარი ლუის მორგანი - „არც ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას არ ჰქონია, ისეთი მდიდარი და შინაარსიანი ისტორია, არც ერთ მათგანს არ განუხორციელებია უფრო ხანგრძლივი და მრავალმხრივი ცვლის შედეგები, როგორც ოჯახს, რომელმაც თანამედროვე სახის მიღებამდე განვითარების დიდი გზა განვლო. ოჯახი აქტიური ელემენტია, რის გამოც არასდროსაა ის ერთ ადგილზე გაქვავებული, არამედ დაბალი ფორმიდან გადადის უმაღლესში, იმ ზომით, რა ზომითაც საზოგადოება დაბალი საფეხურიდან ვითარება უმაღლესი საფეხურისკენ“.<sup>6</sup>

ოჯახის პირველი საფეხური სისხლით მონათესავე ოჯახი იყო. ოჯახის ამ ისტორიულ ფორმაში ცოლქმრული ურთიერთობა გამორიცხავდა მხოლოდ წინაპრებსა და შთამომავლებს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის სქესობრივ ურთიერთობას, ასევე განმტკიცებული იყო ძმებსა და დებს შორის სქესობრივი ურთიერთობის აღკვეთა.<sup>7</sup>

პირველყოფილი მეურნეობის წარმოშობამ და მოსახლეობის ზრდამ განაპირობა ადამიანთა ერთმანეთთან დაკავშირება. ამ დროს არსებობდა ჯგუფური ცოლქმრობა, რომლის დროსაც ჩნდება წყვილადი ოჯახი, რომელიც უკვე ერთი

---

<sup>5</sup> რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია. *საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი*, თბილისი., 2015, გვ 11,12.

<sup>6</sup> Л. МОРГАН, . *ДРЕВНЕЕ ОБЩЕСТВО*. М. , 1936. С 2002

<sup>7</sup> ჩიკვაიშვილი, შ. *საოჯახო სამართალი*. თბილისი., 2004, გვ 38.

მამაკაცის და ერთი ქალის შეუღლებას გულისხმობს. ოჯახის განვითარების ამ საფეხურზე ადამიანთა შრომითი და ყოფითი ერთობის პირველ ფორმას - მატრიარქატი წარმოადგენდა. ეს იყო ქალის ერთგვარი უპირატესობის ეპოქა, რაც გულისხმობდა იმას, რომ მას წამყვანი ადგილი ეკავა მეურნეობაში. (ქალი გახდა პირველი მესაქონლე, მიწათმოქმედი, მშენებელი და კერის შემნახველი). თუმცა საწარმოო ძალების განვითარებამ შეცვალა ქალის უფლებრივი მდგომარეობა ოჯახში. მესაქონლეობის და მიწათმოქმედების განვითარებამ ამჯერად წამყვანი როლი მამაკაცს მიაკუთვნა.<sup>8</sup> პატრიარქარული ოჯახის განმტკიცებით ქალს ეკრძალებოდა ქმრის მიტოვება. მას მოეთხოვებოდა მკაცრი ერთგულება ქმრისადმი.<sup>9</sup> ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის დროს მონოგამიური ოჯახი შემდგომ განვითარებას განიცდის, თუმცა იგი მაინც რჩება ქმრის საბატონო ასპარეზად. ფეოდალურ საზოგადოებაში ქორწინება წარმოადგენდა გარიგებას ფეოდალთა შორის მათი შვილების შეუღლების თაობაზე, სადაც გვარი და არა პირადი სურვილები წყვეტდა დაქორწინების საკითხს. ფეოდალიზმის დროს მკაცრად იყო აკრძალული მეუღლეთა შორის განქორწინება, ვინაიდან ქორწინება მოიაზრებოდა საქორწინო ურთიერთობის მარადიული ფორმად და კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა დაუშვებელი იყო განქორწინება. აღნიშნულის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 66-ე მუხლი: „ცოლი და ქმარი რაგინდ სძულობდნენ ერთმანეთს, უბრალოდ გაყრა არ იქნების, კათოლიკოზმა წვრთნით უნდა შეარიგოს“.<sup>10</sup>

ბექას სამართლის წიგნის მიხედვით, მამაკაცის მრუმობის გამო ცოლს არ შეეძლო გაყრა მოეთხოვა, მეტიც, მას არ ჰქონდა უფლება ქმრისთვის მრუში ეწოდებინა. ხოლო „თუ ქალმა ღმერთი შერისხდეს მისითა ენაჭარტალობითა,

---

<sup>8</sup> შალვა ჩიკვაიშვილი. *საოჯახო სამართალი*. თბილისი., 2004, გვ 40.

<sup>9</sup> მ. ბექაია, *ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები*. თბილისი., 1980, გვ 16.

<sup>10</sup> ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის მიერ დამზადებული ტექსტით, *გამოკვლევათა და ტერმინთა საძიებელი*, თბილისი., 1955

უსირცხვილობითა, ქმარი დააგდოს ასეთი ქმედებისთვის მამაკაცთან შედარებით ორჯერ მეტი ქონებრივი პასუხისმგებლობა უნდა გასწიოს“.<sup>11</sup>

ქართული საოჯახო სამართლის განხილვა არ შეიძლება მოვწყვიტოთ ქართული სახელმწიფოსა და ქართული ხალხის ისტორიას. ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში ადგილ-მამული და ოჯახი, მიწის საკუთრება, ქორწინება, საკმაოდ მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. ოჯახი არის ის პირველადი საზოგადოებრივი უჯრედი, სადაც ხორციელდება ისეთი უმნიშვნელოვანესი სოციალური აქცია, როგორცაა ადამიანის აღზრდა და პიროვნების ფორმირება.

ადიარებულია, რომ ოჯახის აღზრდელობითი ფუნქცია უფრო მეტად დაიხვეწება, რადგან საზოგადოების განვითარების ახალი და სწარაფი ტემპები სულ უფრო და უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს პიროვნებას და, შესაბამისად, ოჯახს.

იურიდიულ ლიტერატურაში ყველა ავტორი ცდილობს მოგვცეს ოჯახის ცნების ზუსტი დეფინიცია. პ. სედუგინი ოჯახის ცნებას განმარტავს, როგორც პირთა განსაზღვრულ ჯგუფს, რომელიც ეფუძვნება ქორწინებას, ნათესაობას, მოყვრობას, ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის გაძლოლას, ურთიერთმხარდაჭერას და მომავალი თაობის აღზრდას.<sup>12</sup>

ი. კუზნეცოვა აღნიშნავს, რომ „საოჯახო კანონმდებლობაში ოჯახის ცნების არარსებობა შემთხვევითი არ არის. სამართლებრივ აქტებში ოჯახის ცნება უკავშირდება ოჯახის წევრთა წრის დადგენას, რომელიც ქმნის მის შემადგენლობას და განისაზღვრება სხვადასხვანაირად. ამიტომ „ოჯახის“ ცნების კანონმდებლობაში გათვალისწინებამ და იმ პირთა ამომწურავი ჩამონათვალის დადგენამ, რომლებიც ოჯახის წევრთა რიცხვს განეკუთვნებიან, შეიძლება გამოიწვიოს აღნიშნულ პირთა უფლებების დარღვევა ან ოჯახის წევრთა წრის უსაფუძვლო გაფართოება“.<sup>13</sup>

<sup>11</sup> ი. დოლიძე. *ძველი ქართული სამართალი*, თბილისი, 1953, გვ. 91.

<sup>12</sup> П. Седугина, комментарии к семейному кодексу РФ под общ. ред. Крашениникова. М., 1997, С. 2

<sup>13</sup> Кузнецова, комментарии к семейному кодексу РФ общ. ред. М., 1996 с. 10)

## თავი მორე

### ქორწინების ინსტიტუტი

#### 2.1 ქორწინების ცნება

ქორწინება, ოჯახის მსგავსად, რთული და მრავალმხრივი ფენომენია, რომელიც მკვეთრად ჩანს არა მარტო სამართლებრივ, არამედ ზნეობრივ, სოციალურ და ეკონომიკურ წახნაგებში. ქორწინება ძირითად შემთხვევებში არის ოჯახის შესაქმნელად მიმართული ქალისა და მამაკაცის ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე დამყარებული კავშირი. სიყვარული კი არსი ის ფორმა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია მყარი და სრულყოფილი ოჯახის შექმნა. ქორწინებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს ურთიერთობებს სამართლებრივი ნორმები არეგულირებენ. ისინი განსაზღვრავენ ქორწინების წესს და პირობებს.

რომაელი იურისტები ქორწინებას განმარტავდნენ, როგორც ქალისა და მამაკაცის თავისუფალ და თანასწორ კავშირს, სინამდვილეში კი რომში ქალი მამაკაცის თანასწორი არასდრო არ ყოფილა.

რომის სამართალი იცნობდა ორი სახის ქორწინებას : 1. კანონიერი რომაული ქორწინება, როცა ორივე მხარე რომაელი იყო; 2. რომაელ მოქალაქეთა ქორწინება პერეგრინებზე. რომელთა უფლებები განისაზღვრებოდა რომის სამოქალაქო სამართლით. რომის სამართალი ასევე იცნობდა ფაქტობრივ ქორწინებას, რომელიც იყო არაიურიდიული ქორწინება და რომელსაც კონკუბინატი ეწოდებოდა.<sup>14</sup>

ძველ რომში ქორწინებისათვის აუცილებელი იყო: 1. საქმროსა და საცოლის თანხმობა; 2. საქორწინო ასაკი ქალებისათვის, რომელიც შეადგენდა 12 წელს, ვაჟებისათვის კი 14 წელს; 3. მექორწინენი არ უნდა ყოფილიყვნენ სხვასთან ქორწინებაში; 4. მექორწინეებს არ უნდა ჰქონოდათ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები; 5. მექორწინეთა შორის არ უნდა ყოფილიყო ნათესაური კავშირი

<sup>14</sup> ი. პერეტერსკი. *სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია*, 1947, გვ 144-145.

აღმავალი და დაღმავალი ხაზით; 6. დაქორწინებისას სრულდება გარკვეული რიტუალი, რომელსაც უძველესი ფესვები ჰქონდა.<sup>15</sup>

ქორწინების შედეგად ქალი და მისი ბავშვები შედიოდნენ ქმრის ძალაუფლებაში. ქმრის ძალაუფლება ცოლის მიმართ იმდენად განუსაზღვრელი იყო რომ, ქმარს ცოლის ფიზიკური განადგურებაც კი შეეძლო. მას შემდეგ რაც ცოლი შევიდოდა ქმრის ოჯახში იგი კარგავდა კავშირს მამის ოჯახთან. იგი ახლა უკვე თავისუფლდებოდა მამის ძალაუფლებისაგან და ექვემდებარებოდა ქმრის ძალაუფლებას. ცოლის ქონება გადადიოდა ქმრის მფლობელობაში და შესაბამისად მას აღარ შეეძლო გარიგებების დადება. თუმცა დროთა განმავლობაში ქმრის ეს გაბატონებული მდგომარეობა ცოლზე თანდათან დაიხვეწა და შეიცვალა.<sup>16</sup>

ქალს გათხოვებამდე საქმრო მიართმევდა სხვადასხვა საჩუქრებს, რომელიც შეიძლება ყოფლიყო ნივთები ან სხვა სახის ფასეულობანი. ქალს კი ოჯახიდან ატანდნენ მზითვს, რომელიც ასევე ქმრის საკუთრებას წარმოადგენდა. თუმცა, ჩვ. წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში რომში ჩამოყალიბდა წესი, რომლის მიხედვითაც ქალი უკან იბრუნებდა მზითვს ქმრის სიკვდილის, ქორწინების შეწყვეტის თუ სხვა შემთხვევებში.

რომის სამართალი აწესრიგებდა ასევე საქმროს მიერ მიართმეული საქორწინო საჩუქრების იურიდიულ რეჟიმსაც. კერძოდ კი, საქორწინო საჩუქარი ქმრის საკუთრებაში ითვლებოდა, მაგრამ, თუ განქორწინება ხდებოდა მისი ინიციატივით, საჩუქარი ცოლს რჩებოდა.<sup>17</sup>

ძველ რომში ქორწინების შეწყვეტა ხდებოდა ძირითადად ოთხ შემთხვევაში:

1. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებისას;
2. ერთ-ერთი მეუღლის დაპატიმრებისას;
3. ერთ-ერთი მეუღლის მოქალაქეობის ჩამორთმევისას;
4. განქორწინებით;

<sup>15</sup> ი.პერეტერსკი. *სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია*. 1947, გვ 144, 145.

<sup>16</sup> ვ.მეტრეველი. *რომის სამართალი (საფუძვლები)*, თბილისი, 2013, მერიდიანი.

<sup>17</sup> ვალერიან მეტრეველი. *რომის სამართალი (საფუძვლები)*, თბილისი, 2013, გვ 103.

განქორწინების ინციატივა სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი იყო. კლასიკურ პერიოდში განქორწინების უფლება ჰქონდა როგორც მამაკაცს, ისე ქალს. განქორწინება დაიშვებოდა ასევე ქორწინებისათვის უვარგისობის და მონაზუნად აღკვეცის შემთხვევაშიც.

რაც შეეხება ქორწინებას ძველ ქართულ სამართალში, ქორწინების, როგორც ღვთაებრივი დანაწესის მიზანი სამმაგი იყო: კაცობრიობის მოდგმის შენარჩუნება და გამრავლება, ქორწინების მიზნად ითვლებოდა მეუღლეების მეგობრობა, ურთიერთდახმარება და შემწეობა, ქორწინების მესამე მიზნად ითვლებოდა ხორციელ ცოდვისაგან მიდრეკილების აღაგმვა, ხორციელი ტკბობისაკენ სწრაფვის შენელება.

საქართველოში ადერქრიტიანულ ხანაში იყვნენ ცოლოსანი ეპისკოპოსები და სანამ ცოლოსანი ეპისკოპოსები იყვნენ ეს თანამდებობა მამიდან შვილზე მემკვიდრეობით გადადიოდა. მსოფლო საეკლესიო კრებამ, რომელიც ნიკეაში ჩატარდა დაადგინა, რომ დაუქრწინებელი პირი სასულიერო წოდებაში შესვლის შემდეგ ვერ დაქორწინდებოდა, ხოლო თუ დაქორწინებულმა მიიღო ხელდასმა, იგი ცოლს არ ეყრებოდა. შემდეგ დაადგინეს, რომ ხელდასმის წინ ეპისკოპოსი ვალდებული იყო ცოლს გაეყოლა.<sup>18</sup>

ქრისტიანულ ხანაში ორივე დასაქორწინებელი მხარე ქრისტიანი უნდა ყოფილიყო, არაქრისტიანთან ქორწინება არ დაიშვებოდა, ვინაიდან ქრისტეს რწმენის გარეშე არ შეიძლებოდა ადამიანზე ღვთის კურთხევის გარდმოვლინება, რომელიც ხდებოდა საიდუმლოს მეშვეობით. ქორწინება ითვლებოდა რელიგიურ საიდუმლოებად. მიუხედავად ამ წესისა დაიშვებოდა ასევე არამართმადიდებელ ქრისტიანთან მართმადიდებლის ქორწინებაც, მაგრამ ასეთი ქორწინების შემდეგ ბავშვი მართმადიდებლურ სარწმუნოებაზე უნდა აღზრდილიყო. აუცილებელი იყო მექორწინეთა შორის სჯულის კანონით დადგენილი ხორციელი და სულიერი ნათესაობის გამომრიცხველი ხარისხები დაცული ყოფილიყო. ქორწინების დროს დაქორწინებულთა ნებას უნდა გაწეოდა ანგარიში. ეკლესიის გარეშე იკრძალებოდა გვირვინის კურთხევა. ქალის საქორწინო ასაკად, ისევე როგორც, ძველ რომში განსაზღვრული იყო 12 წელი, რაც შეეხება ვაჟებს, მათი საქორწინო ასაკი

---

<sup>18</sup> გიორგი ნადარეიშვილი. *ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია*, თბილისი, 2005.

განისაზღვრა 15-16 წლით. აიკრძალა „კიდის-კიდე და არაერთგან კურთხევა გვირგვინთა“, რაც გულისხმობდა იმას, რომ არ შეიძლებოდა, რომ საქმრო და საცოლე ერთმანეთის დაშორებულად დაქორწინებულიყვნენ. ქორწინებას წინ უძღვოდა დანიშვნა, რომელიც მნიშვნელოვან იურიდიულ აქტად ითვლებოდა. საბუთებით დასტურდება რომ საქართველოში დანიშნული ქალის დაგდება ისჯებოდა სრული სისხლი გადახდით.<sup>19</sup>

გვიან შუა საუკუნეების ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ქორწინება ერთსა და იმავე დროს რელიგიური საიდუმლოებაც იყო და სამოქალაქო აქტიც.

ადრეფეოდალურ ხანაში საქართველოში ქალები დაჩაგრულ მდგომარეობაში იყვნენ. ამ დროს არ იყო განვითარებული მზითვის ინსტიტუტი. ქალთა უუფლებობა ქონებრივ ურთიერთობათა სფეროში განაპირობებდა მათ უუფლებობას პირადი ურთიერთობების საკითხებშიც. სავარაუდოა, რომ მეცხრე-მეათე საუკუნეებში საქართველოში მზითვის ინსტიტუტი უკვე ჩამოყალიბებული სახით არსებობდა. სწორედ ამ პერიოდიდან უკვე ქალი ნივთი აღარ არის, არამედ იგი პიროვნებაა, მზითვი არის ქალის პროვნება გამოხატული გარე სამყაროში.<sup>20</sup>

ქორწინება არის ოჯახის საფუძველი, ხოლო ოჯახი მთელი საზოგადოების სოციალური უჯრედია. სახელმწიფო ხელისუფლებისათვის სულ ერთი არ არის იქნება თუ არა ოჯახი მტკიცე. ძველად ქრისტეს მოძღვრებით განქორწინება დაიშვებოდა მხოლოდ ცოლის მრუშობის შემთხვევაში. მაგრამ დროთა განმავლობაში ქალის მრუშობის მოტივს გარდა აღიარებული იქნა სხვა მოტივებიც, მაგალითად, ცოლის მიერ მუცლის მოშლა ითვლებოდა განქორწინების საკმაო საფუძველად. ქართული ხალხური ჩვეულებითი სამართალი ითვალისწინებდა მრუში ცოლის საჯაროდ ვირზე შესმას და სახალხოდ თავზე ლაფის დასხმას, მისი ასეთი სახით გაწვილებას და შემდეგ მასთან განქორწინებას. ქართული სამართლის მონაცემების მიხედვით განორწინების შემდეგი საფუძველი შეიძლება ყოფილიყო ცოლის სწეულება. აღმოსავლეთის ეკლესია პატარძლის მხრივ

---

<sup>19</sup> გიორგი ნადარეიშვილი. *ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია*, თბილისი., 2005, გვ.153-154.

<sup>20</sup> ივანიშვილი. *თხზულებანი*, კიევი, 1876, გვ. 110.

ქორწინებამდე ქალწულობის დაკარგვასაც მრუშობად თვლიდა და მას განქორწინების მიზეზად აღიარებდა. განქორწინების ლეგალურ საფუძვლად იქნა აღიარებული ერთ-ერთი მეუღლის საქორწინო თანაცხოვრებისათვის უვარგისობა. ვახტან VI-ის სამართლის წიგნი მამაკაცის მხრივ, სქესობრივი შეუთავსებლობისათვის უვარგისობას განქორწინების საფუძვლად თვლიდა. განქორწინების მიზეზად გამოდგებოდა ასევე ერთ-ერთი მეუღლის ბერად აღკვეცა ან მონაზვნად აღკვეცა.

საქართველოში ქორწინების შეწყვეტის კანონიერ და მძიმე საფუძვლად მიიჩნეოდა სქესობრივი ზნეობის დამრღვევი დანაშაული ე.წ. სოდომური ცოდვა, მამათმავლობა.<sup>21</sup>

მემკვიდრეს, როგორც ქალიშვლს ისე ვაჟიშვილს თანაბარი უფლებები ჰქონდათ სამკვიდროს მიღების დროს. მიუხედავად ამისა, მამაკაცისა და ქალის უთანასწორობა ჩანს იმ დროის ქართულ სამართალში, სადაც ქმარი, რომელიც უბრალოდ „დააგდებდა“ ცოლს, მას სჯიდენ ნახევარი სისხლის გადახდით, მაშინ როდესაც ცოლს ქმრის მიტოვებისათვის მთელი სისხლის გადახდევინებით სჯიდენ. ამასთანავე, მეუღლური ერთგულების მოთხოვნის უფლება იყო მამაკაცის პრივილეგია. მიუხედავად ქალის ამგვარი მდგომარეობისა, საქართველოში დიდხანს იყო შენარჩუნებული ქალისადმი პატივისცემის უძველესი ტრადიციები. ძველად საქართველოში არსებობდა ქართული ჩვეულება, რომლის მიხედვითაც, ქალის, როგორც მშვიდობის სიმბოლოს გამოჩენა, მოასწავლებდა მეომარ მხარეთა შერიგებაზე.<sup>22</sup>

რაც შეეხება ოჯახის წევრთა რიცხვს, უპირველეს ყოვლისა, მას მიეკუთვნებიან მეუღლეები. საქართველოს მოქმედი საოჯახო კანონმდებლობა ერთმნიშვნელოვნად ადგენს იმ სუბიექტთა წრეს, რომელთაც შეიძლება მეუღლეები ეწოდოს. ეს არის განსაზღვრულ ასაკს მიღწეული ქალი და მამაკაცი, რომელიც სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ორგანოში გააფორმებს ქორწინებას. საქართველოს კანონმდებლობით, საქორწინო ასაკი ქალებისთვის და მამაკაცებისთვის შეადგენს 18 წელს.

<sup>21</sup> გიორგი ნადარეიშვილი. *ქართული სახელმწიფო და სამართალი*, თბილისი, 2005, გვ 156.

<sup>22</sup> გიორგი ნადარეიშვილი. *ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია*, თბილისი, 2005, გვ 155.

საქართველოსაგან განსხვავებით, მრავალ ქვეყანაში საქორწინო ასაკი არის მეტად დაბალი და ის შეადგენს 15 წელს ან მასზე დაბალს. გაეროს 1965 წლის მინიმალური ასაკის შესახებ რეკომენდაციების მიხედვით მიჩნეულია, რომ საქორწინო ასაკი 15 წელი, როგორც დასაშვები მინიმალური ასაკი, მეტად დაბალია.

როგი ავტორების თანახმად, ქორწინება დამოკიდებულია არა რეგისტრაციის ფორმალურ არსებობაზე, ან არარსებობაზე, არამედ მამაკაცსა და ქალს შორის არსებულ ურთიერთობათა არსზე. აღნიშნულის მიხედვით `არა რეგისტრირებული ქორწინებაც ქორწინებაა და არა თანაცხოვრება“.<sup>23</sup>

რაც შეეხება სახელმწიფოს დამოკიდებულებას ქორწინების მიმართ, სახელმწიფო ლეგიტიმურად მიიჩნევს ქალისა და მამაკაცის მხოლოდ იმგვარ კავშირს, რომელიც აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, მათ შორის მოთხოვნას ქორწინების რეგისტრაციის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ქორწინება არ არის რეგისტრირებული, არც ოჯახი წარმოიშობა, მიუხედავად იმისა, ახასიათებს თუ არა ქალისა და მამაკაცის კავშირს ოჯახისათვის დამახასიათებელი სხვა ნიშნები, როგორცაა მაგალითად: ერთობლივი თანაცხოვრება, ურთიერთზრუნვა და სხვა. მოსახლეობის აღწერის შედეგები სტაბილურად აჩვენებენ, რომ ქორწინებათა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ოფიციალურად რეგისტრირებულ ქორწინებათა რიცხვს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ფაქტობრივი ქორწინებების იგნორირება არ განაპირობებს მათი რაოდენობის შემცირებას. საბოლოო ჯამში მხოლოდ ფაქტობრივი მეუღლეები წყვეტენ საკითხს იმის შესახებ, იქნება რეგისტრირებული თუ არა მათი ქორწინება.<sup>24</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იძლევა ქორწინების განსაზღვრებას. მისი 1106-ე მუხლის მიხედვით, ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალსა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მფარველობის სფეროში შემავალ საქართველოს იურიდიული პირის-

<sup>23</sup> А.А. Пушкин, *Действующее законодательство о браке и семье*, Харьков., 1992 с 141

<sup>24</sup> რ.შენგელია. ე. შენგელია. *საოჯახო სამართალი*, თბილისი.,2004.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. კოდექსის მიერ მოცემულ განმარტებაში ქორწინება მიჩნეულია ქალისა და მამაკაცის კავშირად. როცა კანონმდებელი ქალისა და მამაკაცის კავშირზე ამახვილებს ყურადღებას, ქორწინების ცნებაში მოიაზრება ორი მნიშვნელობა: პირველი მნიშვნელობით ქორწინება არის იურიდიული ფაქტი, რასაც შედეგად მოჰყვება ქალსა და მამაკაცს შორის მეუღლეობრივი ურთიერთობის წარმოშობა მეორე მნიშვნელობით კი ქორწინება განსაზღვრავს ცოლისა და ქმრის განსაკუთრებულ სამართლებრივ სტატუსს. ქორწინების ცნების პირველი ნაწილის მიხედვით, ქორწინება წარმოადგენს გარიგებას, ვინაიდან სახეზეა ორივე მექორწინის ნება. ამიტომ შეთანხმება ქორწინების შესახებ სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების ნაირსახეობაა.

ქორწინებაში მყოფ პირებს ერთმანეთის მიმართ წარმოეშობათ არა ჩვეულებრივი, ტრადიციული, არამედ მეუღლეობასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი. ეს უფლებები შეიძლება იყოს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ხასიათის. ქორწინება არის ისეთი სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება, რომელიც მეუღლეებისათვის წარმოშობს პირად და ქონებრივი ხასიათის უფლება-მოვალეობებს.

უპირველეს ყოვლისა, ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის შეთანხმება ოჯახის შექმნის თაობაზე. აღნიშნულში საუბარია ერთი ქალისა და ერთი მამაკაცის შეთანხმებაზე ქორწინების შესახებ და დაუშვებელია ქორწინება ერთი სქესის პირებს შორის.

ქორწინების ძირითად განმსაზღვრელ ნიშანს წარმოადგენს თავისუფლების პრინციპის დაცვა, ვინაიდან ქორწინება არის ქალისა და მამაკაცი ნებაყოფლობითი კავშირი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქორწინების შესახებ შეთანხმება, აგრეთვე მისი შეწყვეტა მექორწინეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული. ქორწინება, რომელიც ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედების საფუძველზე ჩატარდა აუცილებლად ბათილად უნდა იქნას ცნობილი.<sup>25</sup>

---

<sup>25</sup> შ.ჩიკვაშვილი. *საოჯახო სამართალი*, თბილისი, 2004, მერიდიანი.

მეუღლეთა თანასწორუფლებიანობა საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობათა ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია. ქორწინების ნებაყოფლობა თავისთავად გულისხმობს მექორწინეთა თანასწორუფლებიანობასაც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მეუღლეებს თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებები გააჩნიათ, თანაბარი უფლებები თანაბარი მოვალეობებითაა განპირობებული. რეგისტრირებული ქორწინების შედეგად წარმოშობილი პირადი უფლებები და მოვალეობები არსებითად განსხვავდება ქონებრივი ხასიათის უფლება-მოვალეობებისაგან. პირად უფლებათა მნიშვნელოვანი ნაწილი მეუღლეებს შეიძლება ჰქონდეთ დაქორწინებამდეც. არასაოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებშიც მათი რეგულირება ხდება სამართლის სხვა დარგებით.

პროფესიის არჩევის საკითხი დაქორწინებამდე პირის შრომის სამართლებრივ უფლებას წარმოადგენს, დაქორწინების შემდეგ რომ, მეუღლის ნებაზე არ არის იგი დამოკიდებული ეს უკვე საოჯახო სამართლის სფეროა. მეუღლთა შორის პირადი ურთიერთობები განსაზღვრულია. პირადი ურთიერთობებია არამარტო ქორწინების ნამდვილი შინაარსის ძირითადი საფუძველი, არამედ მთელი შემდგომი საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობა. ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან მეუღლეთა პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობების თანაბრობა კანონით განსაზღვრული აუცილებლობაა. რაც შეეხება, დისკრიმინაციის აკრძალვას, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პრინციპი უდევს საფუძვლად საქორწინო და საოჯახო ურთიერთობათა სამართლებრივ რეგულირებას. სწორედ საოჯახო სამართლის უმთავრესი და ამოსავალი პრინციპია მეუღლეთა სრული თანასწორუფლებიანობა და არა რაიმე პირდაპირი და არაპირდაპირი უპირატესობათა მინიჭება. ყოველგვარი დისკრიმინაცია საოჯახო ურთიერთობებში კატეგორიულად არის აკრძალული. ქალი და მამაკაცი არა მარტო ქორწინების დროს, არამედ მეუღლეობრივი უფლება-მოვალეობათა განხორციელების დროს სარგებლობენ თანაბარი უფლებებით.

მეუღლეობრივი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოსაშობად მარტო ქალისა და მამაკაცის სურვილი დაქორწინების შესახებ არ კმარა. საჭიროა აგრეთვე რომ, ქორწინების

რეგისტრაცია მოხდეს რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოში. ეს იმას ნიშნავს, რომ საქორწინო ურთიერთობათა მოწერილება სახელმწიფოს კომპეტენციაა. აქ მთავარია, მეუღლეთა მხრივ ოჯახის შექმნისადმი სერიოზული დამოკიდებულება. ქორწინების რეგისტრაცია დაწესებულია, როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად, მეუღლეთა და მათი შვილების პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით. ქორწინების რეგისტრაცია საშუალებას აძლევს სახელმწიფოს თავის საქმიანობაში გაითვალისწინოს სხვადასხვა დემოგრაფიული მონაცემები (მაგ: შობადობის მდგომარეობა, მოსახლეობის შემადგენლობა და სხვა). ქორწინების რეგისტრაცია ამარტივებს მეუღლეთა შორის ურთიერთობას და შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოს დაიცვას მეუღლეებისა და მათი შვილების ინტერესები. ქორწინების რეგისტრაციის საფუძველზე სახელმწიფოს შეუძლია გააკონტროლოს ქორწინებათა კანონიერება და თავიდან აიცილოს იმ პირთა დაქორწინება, რომელთაც არ შეუძლიათ შექმნან მყარი ოჯახი და ჰყავდეთ სრულფასოვანი შთამომავლობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქორწინება მხოლოდ მაშინ წარმოშობს მეუღლეთა შორის უფლება-მოვალეობებს, როცა ხდება ამ ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაცია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. რეგისტრაცია წარმოადგენს ერთადერთ დამადასტურებელ საბუთს მეუღლეებისათვის და მას კონსტიტუციური ანუ უფლებაწარმოქმნილი მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოში ნებადართულია საეკლესიო ქორწინება, თუმცა მას სამოქალაქო ქორწინების მსგავსი სამართლებრივი შედეგები არ მოჰყვება, ამიტომ საქართველოს ტერიტორიაზე, სხვა რომელიმე ორგანოში, თუნდაც ეკლესიაში რეგისტრირებულ ქორწინებას იურიდიული ძალა არ გააჩნია.<sup>26</sup>

მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ზოგიერთი პოლიტიკური პარტია ხშირად აყენებს საკითხს ქორწინების საეკლესიო რეგისტრაციის, როგორც ალტერნატიული წესის შემოღების შესახებ, მაგრამ დღევანდელი საოჯახო კანონმდებლობა მხოლოდ სამოქალაქო ქორწინებას ცნობს. ამიტომ, ქალისა და მამაკაცის კავშირი, თუ იგი

<sup>26</sup> რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია. *საოჯახო სამართალი*. თბილისი., 2009, გვ 70.

რეგისტრირებული არ არის შესაბამის სახელმწიფო ორგანოში, იურიდიული თვალსაზრისით, ქორწინებად არ ითვლება და ასეთი კავშირი წარმოადგენს მხოლოდ ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრებას. რეგისტრირებული ქორწინებისგან განსხვავებით, ასეთი ფაქტობრივი ქორწინება სრულყოფილად არ წარმოშობს მექორწინებისათვის სასურველ სამართლებრივ შედეგებს. მათ შორის ურთიერთობაში არ მოქმედებს მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების უფლება. კანონი არ ითვალისწინებს ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობათა აღიარებას სასამართლოს მიერ. პირის გარდაცვალების ან მისი უზო-უკვლოდ გამოცხადების შემთხვევაში, მასთან ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში ადრე ნამყოფ არც ერთ პირს უფლება არ აქვს მოითხოვოს მისი აღიარება კანონიერ მეუღლედ ან აქედან გამომდინარე, რომელიმე სამემკვიდრეო ან საპენსიო უფლების განხორციელება.

შესაძლებელია ადრინდელი წესების შესაბამისად ეკლესიებსა და სამხედრო ნაწილებში განხორციელებული ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის ცნობა. აღნიშნულ შემთხვევაში მოხდება ქორწინების რეგისტრაციის კანონიერების დადასტურება.

ქორწინების რეგისტრაციის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს მიმართავენ განცხადებით მექორწინეები. კანონით მექორწინეთა განცხადებას ძალა შეტანიდან ორი თვის განმავლობაში აქვს, ამასთანავე მათ უფლება აქვთ მიუთითონ კონკრეტულ დღეზე, რა დღესაც სურთ მათ ქორწინების რეგისტრაციის გაფორმება. დაქორწინების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების სიმყარის ხარისხის მიხედვით მათ შეუძლიათ განცხადების შეტანიდან მეორე დღესვე მოითხოვონ ქორწინების რეგისტრაცია.

პრაქტიკა ადასტურებს იმას, რომ განცხადების შეტანიდან ქორწინების რეგისტრაციამდე მექორწინეთა მიერ განსაზღვრული დრო მათ საშუალებას აძლევს დაფიქრდნენ და მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ მათ მიერ გადასადგმელ მეტად მნიშვნელოვან ნაბიჯს. სტატისტიკის მიხედვით, განმცხადებელთა 10-12 პროცენტი ორთვიან ვადაში უარს ამბობს ქორწინებაზე.<sup>27</sup>

საგულისხმოა სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის დამოკიდებულება ქორწინების ვადებთან მიმართებაში. მაგალითად, ინგლისში დასაქორწინებელ პირთა მიმართ

---

<sup>27</sup> რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია. *საოჯახო სამართალი*, თბილისი., 2009, გვ 94.

განცხადების შეტანიდან 48 საათის განმავლობაში სავალდებულოა მოხდეს მათი რეგისტრაცია. საფრანგეთში ასეთ ვადად დაწესებულია ათი დღე განცხადების შეტანიდან იმ პირობით, რომ თანამდებობის პირმა, რომელსაც ევალება ამ ქორწინების რეგისტრაცია, მოახდინოს ქორწინების შესახებ განცხადების გამოქვეყნება. აღნიშნულ ვადამდე ადრე არ დაიშვება ქორწინება, თუმცა განცხადება ქორწინების რეგისტრაციის თაობაზე ძალას ინარჩუნებს ერთი წლის განმავლობაში. თუ ერთი წლის განმავლობაში დასაქორწინებელი პირები ვერ მოახერხებენ რეგისტრაციას, თუმცა მათ შორის შეთანხმება ქორწინების რეგისტრაციის შესახებ კვლავ ძალაშია, პროცესი იწყება იმავე ათდღიანი ვადით. საინტერესოა გერმანიის კანონმდებლობის დამოკიდებულებაც, რომლის მიხედვითაც განცხადების გამოქვეყნება სავალდებულოა, მაგრამ საფრანგეთის კანონმდებლობისგან განსხვავებით ათდღიანი ვადა გაზრდილია ექვს თვემდე.<sup>28</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ქორწინების რეგისტრაციისათვის დადგენილი ორთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, მექორწინეთა განცხადება ძალას კარგავს. იმ შემთხვევაში, თუ ისევ სურთ მექორწინებას დაქორწინება, მათ თავიდან უნდა მიმართონ სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოს. არ აქვს მნიშვნელობა იმ ფაქტს, ვადის გაშვება საპატიო მიზეზით მოხდა თუ დაქორწინება მექორწინებმა დროებით გადადეს. ჩვენი კანონმდებლობა უშვებს გამონაკლის შემთხვევას, როდესაც მექორწინებებს შეუძლიათ ქორწინების რეგისტრაცია მოახდინონ განცხადების შეტანის დღესვე. თუმცა ამისათვის უნდა არსებობდეს განსაკუთრებული გარემოება. კანონით ასეთ გარემოებად დადგენილია ბავშვის დაბადება, ერთ-ერთი მექორწინის სიცოცხლისათვის რეალური საფრთხის არსებობა და სხვ.

განცხადების შეტანის დღეს რეგისტრაციაზე მექორწინებებს შეიძლება იმ მოტივით ეთქვათ უარი, რომ სარეგისტრაციო ორგანოში შეტანილია სხვა უამრავი განცხადება. ასეთ შემთხვევაში, მექორწინებებს შეუძლიათ დაელოდნონ თავისუფალ თარიღს ან მიმართონ სხვა ტერიტორიულ სარეგისტრაციო ორგანოს.<sup>29</sup>

---

<sup>28</sup> შალვა ჩიკვაიშვილი. *საოჯახო სამართალი*. თბილისი.,2004, გვ 91.

<sup>29</sup> რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია. *საოჯახო სამართალი*. თბილისი.,2009,გვ 95.

ქორწინების რეგისტრაციის შესახებ განცხადება მექორწინებს შეუძლიათ შეიტანონ ნებისმიერი ქალაქის ან რაიონის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივ სამსახურში. ჩვეულებრივ, მექორწინები თავიანთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ტარდებიან რეგისტრაციაში. ყველა შემთხვევაში, ქორწინების რეგისტრაცია უნდა მოხდეს დასაქორწინებელ პირთა უშვალო მონაწილეობით. ჩვენი კანონმდებლობით არ არის დაშვებული წარმომადგენლის მეშვეობით ქორწინება, ანუ ეს ის შემთხვევაა, როცა რეგისტრაციის დროს ადგილზე არ არის საცოლე და საქმრო და მათ ცვლიან სხვა პირები-მექორწინეთა წარმომადგენლები. ძველად საქართველოში წარმომადგენლობითი ქორწინება არც ისე პოპულარულად ითვლებოდა, იგი პატივისა და ღირსების შემლახავად იყო მიჩნეული, განსაკუთრებით ქალებისთვის.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქორწინების შესახებ განცხადება მექორწინებმა სარეგისტრაციო ორგანოში პირადად უნდა შეიტანონ. არ შეიძლება დასაქორწინებელი პირის ნაცვლად განცხადება დაქორწინების სურილის შესახებ სხვა პირმა შეიტანოს. თუმცა ერთ-ერთ მეუღლეს შეუძლია განცხადების შეტანა, თუ მას აქვს მეორე მეუღლის ნების გამომხატველი დოკუმენტი. განცხადებაში მათ უნდა დაადასტურონ რამოდენიმე გარემოება, რომელსაც შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს მექორწინებისათვის. მაგალითად: რომ არ არსებობს არც ერთი ხელის შემშლელი გარემოება, რომელზეც მითითებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლში და რომ ისინი იცნობენ ერთმანეთის ოჯახურ მდგომარეობას. იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთა ერთი რომელიმე გარემოება, რომელიც ხელს უშლის ქორწინებას, მექორწინები არ გატარდებიან რეგისტრაციაში. მექორწინები ვალდებული არიან რეგისტრაციის დროს განაცხადონ იმის შესახებ, რომ იციან ერთმანეთის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ვინაიდან არის ისეთი ავადმყოფობები, რომლებიც საშიშროებას უქმნის არა მარტო მეორე მეუღლეს, არამედ შვილის ჯანმრთელობასაც.

პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მეუღლეებმა არაფერი იცოდნენ იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც კრძალავდნენ ქორწინების შესაძლებლობას.<sup>30</sup> მაგალითად: შესაძლებელია ქორწინების რეგისტრაციის დროს, მექორწინებმა არ იცოდნენ ის, რომ არალეგიტიმური და-ძმა ყოფილან, რაც გაიგეს ქორწინების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში ქორწინება წყდება სასამართლოში ამ გარემოების დადგენის მომენტიდან. თუ ასეთი ქორწინების დროს ერთ-ერთმა მეუღლემ შეიცვალა გვარი და გადაწყვიტა მეორე მეუღლის გვარზე გადასვლა, ამ გვარის ტარების უფლება მას ექნება ქორწინების შეწყვეტის შემდეგაც, ან თუ ასეთ ქორწინებაში გაჩნდა ბავშვი, მას თავისი მშობლების მიმართ ყოველგვარი საოჯახო საართლებრივი ურთიერთობა უჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში მათთვის მოულოდნელად აღმოჩნდება ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება, მაგრამ ასეთ დროს ქორწინებაში ბათილობა კი არ ხდება, არამედ ქორწინების შეწყვეტა.

საქორწინო განცხადების მიღების დროს, სარეგისტრაციო ორგანო ვალდებულია მექორწინებს გააცნოს ქორწინების რეგისტრაციის დანიშნულება და ის უფლება-მოვალეობები, რომლებიც წარმოეშობათ მექორწინებს, როგორც მეუღლეებს და შემდგომ როგორც მშობლებს.

საოჯახო კანონმდებლობა ქორწინების რეგისტრაციისას არ უშვებს რომელიმე მექორწინის გამოუცხადებლობის შესაძლებლობას. აუცილებელია ორივე მექორწინე გამოცხადდეს ქორწინების რეგისტრაციის დღეს და უშუალოდ მიიღოს მასში მონაწილეობა. თუმცა კანონმდებლობით არის დადგენილი გამონაკლისი შემთხვევაც, ეს იმ დრო, როდესაც ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირი პატივსადები მიზეზის გამო ვერ გამოცხადდება სარეგისტრაციო ორგანოში. ასეთ დროს, ქორწინების რეგისტრაციის ჩატარება შესაძლებელია სარეგისტრაციო ორგანოს გარეთ. რაც შეეხება პატივსადებ მიზეზს, ეს შეიძლება იყოს ავადმყოფობა, ან მექორწინე იმყოფებოდეს სამკურნალო

---

<sup>30</sup> უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, გ. დ. . თბილისი.2001. N9.

დაწესებულებაში და სხვა. ქორწინების რეგისტრაციის შესაღებლობამ სარეგისტრაციო ორგანოს ადგილსამყოფელის გარეთ, მნიშვნელოვნად გააფართოვა საქორწინო უფლებების განხორციელების შესაძლებლობა.

იმისათვის, რომ ქორწინების რეგისტრაციას ჰქონდეს საჯარო ხასიათი, კანონი ითხოვს ქორწინების რეგისტრაციას ორი სრულწლოვანი მოწმის მონაწილეობით. მოწმეები სარეგისტრაციო წიგნში ტარდებიან, როგორც ჯვრისწერის მოწმენი. არ შეიძლება ქორწინების რეგისტრაციაში მონაწილეობა მიიღონ არასრულწლოვანმა მოწმეებმა, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება თვითონ მექორწინეები არასრულწლოვანები იყვნენ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის პატივისცემასა და სიყვარულზე დამყარებული ნებაყოფლობითი, სამისდღემშიო და სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებული კავშირი, რომელიც მეუღლეთა შორის წარმოშობს პირად და ქონებრივ უფლება-მოვალეობებს და რომლის მიზანია ოჯახის შექმნა.

ქორწინების სახელმწიფოებრივი რეგულირება გულისხმობს ქორწინების პირობის განსაზღვრას. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო კანონის მეშვეობით ადგენს როდისაა ქორწინების რეგისტრაცია შესაძლებელი, და რა გარემოებები მიიჩნევა რეგისტრაციისათვის ხელის შეშლელად. სოჯახო კანონმდებლობით მნიშვნელოვნადაა გამარტივებული ქორწინებისა და განქორწინების წესი და პირობები. ქორწინების პირობები ორ ჯგუფად იყოფა: ქორწინების პოზიტიური პირობები, რომელთა არსებობის დროსაც დასაშვებია ქორწინების რეგისტრაცია და ქორწინების ნეგატიური პირობები, რომელთა არსებობა ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს.<sup>31</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1107-ე მუხლის მიხედვით, დაქორწინების პოზიტიური პირობებია- საქორწინო ასაკი და დასაქორწინებელ პირთა თანხმობა. ეს ისეთი პირობებია, რომელთა არარსებობის შემთხვევაშიც ქორწინება წარმოუდგენელია.

---

<sup>31</sup> რ. შენგელია. *სოჯახო სამართალი*. თბილისი., 1999.

აღნიშნული პირობების დაცვა სავალდებულოდაა მიჩნეული თითქმის ყველა ცივილიზებული ქვეყნის კანონმდებლობით.

ჩვენს ქვეყანაში, უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა დაქორწინების მსურველ პირთა საშუალო ასაკის ზრდის ტენდენცია. 1997 წელს მან 27 წელს მიაღწია და აღნიშნული მაჩვენებელი შენარჩუნებულია ამჟამადაც.<sup>32</sup> ეს ფაქტი უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ოჯახის შექმნის მსურველი პირის მისწრაფებები გაიზარდა, ახლა უკვე მის მთავარ მიზანს წარმოადგენს მიაღწიოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და მოაგვაროს საბინაო პრობლემა, რაც თავის მხრივ, მტკიცე ოჯახის შექმნის ერთ-ერთი უზრუნველყოფილი ფაქტორია.<sup>33</sup>

საქორწინო ასაკად საქართველოში დადგენილია 18 წელი, როგორც ქალებისთვის, ისე მამაკაცებისთვის. სულ ცოტა ხნის წინ შესაძლებელი იყო ამ ასაკის ორი წლით შემცირება, ეს იმ შემთხვევაში, თუ მშობლები ან სხვა კანონიერი წარმომადგენლები ამაზე წინასწარ განაცხადებდნენ წერილობით თანხმობას, თუმცა დღეს მქომედ კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება იმასთან დაკავშირებით რომ, მშობელთა თანხმობით არასრულწლოვანი შვილის ქორწინება არ დაიშვება. მინიმალური საქორწინო ასაკის განსაზღვრა მეუღლეთა და მათი მომავალი ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვით არის განპირობებული. ადრეული ქორწინება ხელს უშლის მეუღლეებს, განსაკუთრებით ქალებს, განათლების მიღებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავისი ადგილის დაკავებაში. სწორედ ამ მიზეზების გათვალისწინებითაა, რომ კანონმდებლობა სავალდებულო საქორწინო ასაკის დარღვევით მომხდარ ქორწინებას ბათილად აღიარებს.

საქართველოს ისტორიიდან ცნობილია დაქორწინება შედარებით დაბალ ასაკში, კერძოდ კი საქართველოში მეთორმეტე საუკუნემდე ფართოდ იყო გავრცელებული არასრულწლოვანთა დაქორწინება. ქალ-ვაჟთა დანიშვნა შეიძლებოდა ადრეულ ასაკში, მაგრამ დაქორწინება ქალისათვის მხოლოდ 12 წლიდან იყო შესაძლებელი. სწორედ 12

---

<sup>32</sup> შ.ჩიკვაშვილი. *საოჯახო სამართალი*, თბილისი, 2004.

<sup>33</sup> Верлинская, Е. Ф. (ბ.დ.). ს.

წლის ასაკიდან ითვლებოდა ქალი საქორწინო ასაკისათვის შემდგარ ქალად, რაც რათქამუნდა არ იყო სწორი. ვაჟები 15 წლის ასაკიდან ქორწინდებოდნენ.<sup>34</sup> აღნიშნულის ფონზე საქართველოში მინიმალური საქორწინო ასაკის განსაზღვრის ამჟამად მოქმედი წესი არის წინ გადადგმული ნაბიჯი. კანონი განსაზღვრავს მხოლოდ მინიმალურ საქორწინო ასაკს. ქორწინების მაქსიმალური ასაკი ჩვენი კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ სრულწლოვან პირს ნებისმიერ ასაკში შეუძლია დაქორწინება თუ იგი ნამდვილად ოჯახის შექმნის მიზნით ხდება. აგრეთვე, კანონმდებლობით არ არის დადგენილი ისიც, თუ რა ასაკობრივი სხვაობა უნდა იყოს მომავალ მექორწინებს შორს.

ქორწინების აუცილებელ და გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს მომავალ მეუღლეთა ურთიერთთანხმობა. ნების თავისუფალი გამოვლინება მარტო დაქორწინების კი არა, მთელ საოჯახო ურთიერთობის სიმტკიცის ამოსავალი პრინციპია. დაქორწინების ნებაყოფლობის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც, რომ მისი დარღვევა ზოგჯერ სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ქალის მოტაცება, რა მიზნითაც არ უნდა ხდებოდეს ის, დანაშაულად ითვლება და სხვისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის მომტაცებელს თავად დაეკისრება თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლში განაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული პირთა წინასწარ თანხმობაზე ანუ ნიშნობაზე. ნიშნობის ინსტიტუტი საქართველოსათვის არასდროს ყოფილა უცხო, თუმცა ადრე მასში სხვა შინაარსი იყო ჩადებული. წარმართობის პერიოდში, როცა ქალი ყიდვისა და მისი ნების საწინააღმდეგოდ დაქორწინება იყო შესაძლებელი, ნიშნობას არავითარი ფუნქცია არ გააჩნდა.

ნიშნობა ისტორიულად წარმოადგენდა ახალგაზრდა წყვილის საცოლედ და საქმროდ აღიარების ტრადიციას, რომლის შემდეგ, ქორწინებამდე გადიოდა რამოდენიმე თვე და ზოგიერთ შემთხვევაში რამოდენიმე წელიც კი. ამ ტრადიციას

<sup>34</sup> რ.შენგელია, ე. შენგელია. *საოჯახო სამართალი*. თბილისი., 2009, გვ 75.

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მომავალი მეუღლეებისა და მათი ახლობლების შემდგომი ბედნიერებისათვის. კერძოდ, ამ ხნის მანძილზე, როგორც ახალგაზრები, ისე მათი ოჯახები ასწრებდნენ ერთმანეთის უკეთ გაცნობას, დაახლოებას, თავიანთი გადაწყვეტილების მიზანშეწონილობასა და სერიოზულობის შემოწმებას. ნიშნობა ხელს უწყობდა დაუფიქრებელი და ნაჩქარევი ქორწინების თავიდან აცილებას, რაც გარკვეულწილად ამცირებდა განქორწინების რიცხვს. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დანიშნული პირები ქორწინებამდე არ იცნობდნენ ერთმანეთს და რაც მთავარია, მათ ეკრძალებოდათ სხვა პირის მიმართ გრძობების „გაჩენა“ კი. ქრისტიანობის წარმოშობის და დამკვიდრების შემდეგ, მნიშვნელოვნად შეიცვალა დამოკიდებულება ქორწინებისადმი. აქდან მოყოლებული ნიშნობა თანდათან მკვიდრდება, მისი შინაარსი სულ უფრო სრულყოფილი ხდება და უმეტეს შემთხვევაში წინასაქორწინო აუცილებელი მოქმედების სახეს ღებულობდა. ნიშნობის მიღწევ შესაძებელია ზეპირი გარიგების საფუძველზე. ქალის დანიშვნის დროს ნიშნის სახით ძირითადად ძვირფას ბეჭედს და სხვა სამკაულებს იყენებდნენ. ბეჭედი დანიშვნის და ქორწინების ძირითადი სიმბოლო იყო ძველად და ამ მიზნით დღესაც ფართოდ გამოიყენება.<sup>35</sup>

ნიშნობა ქორწინებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთხოვნად ითვლებოდა. იგი უმეტესწილად მშობლების სურვილითა და ურთიერთშეთანხმებით ხორციელდებოდა, ამიტომ მომავალ მექორწინეთა ნიშნობის რიტუაზე დასწრება აუცილებელი არ იყო. ნიშნობისათვის მინიმალურ ასაკად დაწესებული იყო შვიდი წელი, თუმცა შეიძლებოდა აკვანში დანიშვნაც.<sup>36</sup>

ნიშნობისას გამოხატული წინასწარი თანხმობა წარმოშობდა ქორწინების ვალდებულებას. ნიშნობის დროს მიღებული შეთანხმებით განისაზღვრებოდა ქალის მზითვისა და ვაჟის მიერ ქალისათვის მირთმეული ნიშნის სამართლებრივი მდგომარეობა. მაგალითად, თუ ქალი მოშლიდა ნიშნობას, უარის მთქმელს წინდი ანუ

<sup>35</sup> ი. ფუტკარაძე, *ქორწინების წესები ქართული სამართლის მიხედვით, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის შრომები*, თბილისი., 1997, გვ 31.

<sup>36</sup> ლ. შოშიაშვილი. *ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში*, თბილისი., 2003, გვ 14.,

ნიშანი უკან უნდა დაბრუნებოდა. ასეთივე ვალდებულება ჰქონდა ვაჟის მხარესაც - თუ ვაჟის ინიციატივით ჩაიშლებოდა ნიშნობა, იგი უფლებას კარგავდა წინადად მიტანილ ქონებაზე.<sup>37</sup>

ნიშნობის ინსტიტუტის ლოგიკური განვითარების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსში გამოხატული პოზიცია. კანონი ხაზს უსვამს იმ გარემოებებს, რომ:

1. ნიშნობის დროს მთავარი და გადამწყვეტი არა მშობლებისა და სხვა ნათესავების განწყობაა, არამედ დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა;
2. ნიშნობა დანიშნულ პირთა შორის არ წარმოშობს შემდგომი დაქორწინების ვალდებულებას;
3. რადგან, ნიშნობა არ იწვევს მომავალში აუცილებელ დაქორწინების მოვალეობას, იგი არ შეიძლება იძულებითი დაქორწინების შესახებ სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის საფუძველი გახდეს;
4. ნიშნობა არ წარმოშობს არავითარ ქონებრივ ვალდებულებას იმ პირთა შორის, რომლებმაც განაცხადეს წინასწარი თანხმობა დაქორწინებაზე;
5. ნიშნობასთან დაკავშირებული ერთმანეთისადმი მირთმეული განსაზღვრული ღირებულების საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უბრუნდებათ უკან;

## 2.2. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები

რაც შეეხება ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებებს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლში ზუსტადაა განსაზღვრული ის გარემოებები, რომელთა არსებობაც ქორწინებისათვის ითვლება ხელის შემშლელად და ქორწინება არ დაიშვება. ასეთ გარემოებათა გამო ქორწინების აკრძალვა დაკავშირებულია საქორწინო სამართლის ძირითადი პრინციპების განუხრელად დაცვის აუცილებლობისათვის. მათ

---

<sup>37</sup>ი. დოიძე. *ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები და კომენტარი*. თბილისი.,1963, გვ 243, 539

შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია, ერთქორწინების პრინციპი. არ შეიძლება ქორწინების რეგისტრაციაში გატარდეს ის პირი, რომელიც უკვე იმყოფება სხვა ქორწინებაში. ახალი ქორწინება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ადრინდელ მეუღლესთან განქორწინების შემდეგ. ერთქორწინების პრინციპის განხორციელებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანსაღი და მტკიცე ოჯახის შექმნისათვის. ორცოლიანობა ან მრავალცოლიანობა მიუღებელია, როგორც კანონით, ასევე ზნეობრივადაც.

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ხელმეორედ დაქორწინებისას პირთა შეზღუდვას გარკვეული ვადით, მაშინ როდესაც ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი ვადა დადგენილია კანონმდებლობით. მაგალითად, დანიაში „სამგლოვიარო ვადად“ მამაკაცისათვის დადგენილია პთვე, ხოლო ქალისათვის ერთი წელი.<sup>38</sup>

სარეგისტრაციო ორგანოსათვის ძნელია ქორწინების რეგისტრაციის დროს მამაკაცის ნამდვილი სამომავლო განზრახვის ამოცნობა, ამიტომ მისი როლი მსგავსი ფაქტების აღმოფხვრაში მინიმალურია. სარეგისტრაციო ორგანოს ამოცანაა დარწმუნდეს, რომ პირი არ იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში სხვასთან. ერთქორწინების პრინციპიდან გამომდინარე, პირს სრულწლოვანების შემდეგ ყოველთვის შეუძლია დაქორწინება თუ იგი სხვასთან არ იმყოფება ქორწინებაში. ამიტომ, როცა პირი ხელახლა ქორწინდება მან აუცილებლად უნდა წარადგინოს ადრინდელი ქორწინების განქორწინების დამადასტურებელი საბუთი. თუ ქორწინება შეწყდა იმის გამო, რომ ერთ-ერთი მეუღლე გარდაიცვალა, იგულისხმება რომ ქორწინება შეწყვეტილია. ერთქორწინების ფორმალური პირობების დაცვის შემდეგ შესაძლებელია ქორწინების რეგისტრაციაში გატარება.

ნათესავებს შორის ქორწინების აკრძალვა ერთ-ერთი უნმიშვნელოვანესი პრინციპია საოჯახო სამართალში. არ შეიძლება დაქორწინება პირდაპირი აღმავალი ან დაღმავალი შტოს ნათესავებს შორის, ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ და-ძმას შორის, აგრეთვე მშვილებელსა და ნაშვილებს შორის.<sup>39</sup> კანონის შინაარსიდან გამომდინარე

---

<sup>38</sup> შ. ჩიკვაშვილი. *საოჯახო სამართალი*. თბილისი.,2004.

<sup>39</sup> რ.შენგელია.ე შენგელია. *საოჯახო სამართალი*. თბილისი.,2009, გვ 86.

აკრძალულია დაქორწინება პირდაპირი ხაზის ყველა ხარისხის ნათესავებს შორის. კერძოდ კი, პაპა -ბებიას, მშობლებს, შვილებსა და შვილიშვილებს შორის. რაც შეეხება გვერდითი ხაზის ნათესავების სიას, აქ მხოლოდ ყვლაზე ახლო ხარისხის ნათესავები მოიაზრებიან- დებსა და ძმებს შორის იკრძალება ქორწინება. ახლო ნათესავებს შორის ქორწინების აკრძალვა ემყარება არამარტო ზნეობრივ ნორმებს, არამედ მომავალი თაობის ჯანმრთელობის დაცვას. ახლო ნათესავებს შორის ქორწინება, სისხლის აღრევა უარყოფითად მოქმედებს მომავალი თაობის ჯანმრთელობაზე. რაც შეეხება მშვილებელსა და ნაშვილებს შორის ქორწინების აკრძალვას, იგი განპირობებულია მათ შორის არა სისხლით ნათესაური კავშირით, არამედ ბიოლოგიურ მშობლებსა და შვილებს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივად მათთან გათანაბრების ფაქტით.

ნათესავებს შორის ქორწინების აკრძალვა საქართველოში საუკუნეების მანძილზე ეყრდნობა საზოგადოებაში გავრცელებულ წეს-ჩვეულებებსა და ზნეობრივ წარმოდგენებს. წინათ, ახლო ნათესავებს შორის დაქორწინება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მაშინ დასაშვები იყო დაქორწინება ბიძაშვილებს, დეიდაშვილებს და სხვა ახლო ნათესავებს შორის. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ეკლესიამ ნათესავებს შორის საქორწინო ურთიერთობა განსაზღვრულ ჩარჩოებში მოაქცია. თანდათან გაფართოვდა იმ ნათესავთა წრე, რომელთა შორის ქორწინებაც იკრძალებოდა. საეკლესიო კანონმდებლობით ნათლობის მეშვეობით საფუძველი ჩაეყარა სულიერი ნათესაობის შემოღებას. იგი სისხლით ნათესაობასთან გათანაბრდა და ზოგჯერ აღმატებულადაც კი ყოფილა მიჩნეული. ნათესავებს შორის ქორწინების აკრძალვის მიუხედავად ამ წესის დარღვევა მაინც ხდებოდა. ხშირი იყო ენდოგამიის შემთხვევები, რომელიც უმეტესად განპირობებული იყო პოლიტიკური მიზნით და ეკლესიაც თვალს ხუჭავდა ასეთ ფაქტზე.<sup>40</sup>

მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობა კრძალავს ქორწინებას იმ პირთა შორის, რომლებიც ნათესაობის ისეთ ხარისხში იმყოფებიან, რომლებიც სახიფათოა შთამომავლებისათვის. მაგალითად, ბულგარეთისა და საფრანგეთის საოჯახო

<sup>40</sup> რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია. საოჯახო სამართალი, თბილისი. 2009, გვ 87

კოდექსით არ დაიშვება დაქორწინება არა მხოლოდ პირდაპირი შტოს ნათესავებს შორის, არამედ გვერდითი შტოს ნათესავებს შორისაც. საფრანგეთის კანონმდებლობით აკრძალულია დაქორწინება ბიძა და ძმისწულეებს შორის. ამგვარი პრაქტიკის მიუხედავად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არ იქნა ასახული ახლო ნათესავებს შორის, რომლებსაც მოიცავს დეიდაშვილის, მამიდაშვილის, ბიძაშვილის, ბიძებისა და დიშვილების, ძმიშვილების, დეიდებისა და დისშვილების, მამიდასა და ძმისშვილების და სხვათა ქორწინებამ, როგორც ქორწინების დამაბრკოლებელმა გარემოებამ. ჩვენი აზრით, აუცილებელია ჩვენს კანონმდებლობაშიც იქნას დამატება შეტანილი აღნიშნული თემით, ვანაიდან თავიდან იქნეს აცილებული შთამომავლობისათვის არასასურველი შედეგები.

სამოქალაქო კოდექსი ქორწინების დამაბრკოლებელ ბოლო გარემოებად სამართლიანად მიიჩნევს საქორწინო პირთაგან თუნდაც ერთ-ერთის მხარდაჭერის მიმღების აღიარებას, სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო. ასეთი პირი ანგარიშს ვერ უწევს თავის მდგომარეობას. მას არ შეუძლია შეიგრძნოს ოჯახური ურთიერთობის შინაარსი. ამიტომ, ასეთი პირი არ ითვლება საქორწინო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად. ასეთ პირს დაქორწინება ეკრძალება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქორწინების რეგისტრაციამდე იქნა იგი ასეთად აღიარებული სასამართლოს მიერ. მხოლოდ სულით ავადმყოფობა და ჭკუასუსტობა ედება საფუძვლად დაქორწინების აკრძალვას. სხვა სახის ავადმყოფობა, რა მძიმეც არ უნდა იყოს იგი, დაქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად არ მიიჩნევა. სამწუხაროდ ჩვენს კოდექსში არ არის გათვალისწინებული აკრძალვის საფუძვლად ისეთი დაავადება, როგორცაა შიდსი. ჩვენის აზრით, აღნიშნული დაავადება განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს იმ თვალსაზრისით, რომ იგი წარმოადგენს მძიმე განუკურნებელ და სოციალურ დაავადებას არა მხოლოდ დასაქორწინებელი პირებისთვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის, რასაც ადასტურებს სახელმწიფოს დამოკიდებულებაც, რომელმაც ასახვა პოვა შიდსთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის შემუშავების საქმეში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ შიდსს უნდა მიენიჭოს ქორწინების

დამაბრკოლებელი გარემოების მნიშვნელობა, როგორც სულით ავადმყოფობისა და ჭკუასუსტობის შემთხვევაში და ეს ცვლილება უნდა აისახოს სამოქალაქო კოდექსში.

სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი ქორწინების პოზიტიური და ნეგატიური პირობები ამომწურავია. არც სარეგისტრაციო ორგანოს, არც მშობლებს ან სხვა პირებს არ აქვთ უფლება რაიმე სხვა პირობა ან შეზღუდვა დააწესონ. ყოველგვარი რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, სოციალური და სხვა სახის შეზღუდვები განიხილება, როგორც ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა და ქორწინების რეგისტრაციის ხელის შემშლელ გარემოებად არ ჩაითვლება.

### 2.3 ქორწინების შეწყვეტა

ქორწინება, მისი განსაზღვრებიდან გამომდინარე, ატარებს რა სამისდღემშიო ხასიათს, არ ნიშნავს იმას, რომ მისი შეწყვეტა დაუშვებელია. ამიტომ, განქორწინება, როგორც ქორწინების თანმხლები მოვლენა, გამომდინარეობს ოჯახის წინააღმდეგობრივი ბუნებიდან, რომელსაც მისი სოციალური ხასიათის გამო აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. განქორწინება ქმნის მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ სიძნელეებს მეუღლეებისათვის, განსაკუთრებით ბავშვებისათვის. მისი შედეგები მძიმე ტრამვად რჩება ცხოვრების მთელ მანძილზე მათთვისაც კი, ვისი ინიციატივითაც მოხდა იგი.<sup>41</sup> თუმცა აღსანიშნავია, განქორწინების დადებითი მხარეები, რაც უკავშირდება პიროვნების თავისუფლების გარანტიას. აღნიშნულიდან გამომდინარე, განქორწინება თავისთავად ცივილიზაციისა და კულტურის მნიშვნელოვან მონაპოვრად ითვლება.

რაც შეეხება განქორწინების ინსტიტუტს ძველ ქართულ სამართალში, ქრისტიანული დოგმები კრძალავდა განქორწინებას. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში განქორწინება აკრძალული იყო, მაგრამ რეალურ ვითარებაში ამ დოგმის დაცვა ყოველთვის ყველგან შეუძლებელი იყო. ამიტომ, ჯერ მართმადიდებლურ, შემდეგ კათოლიკურ ქვეყნებში დაშვებული იქნა განქორწინება, მხოლოდ, როგორც

---

<sup>41</sup> მ. ბექაია, *ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები*, „მეცნიერება“, თბილისი., 1980, გვ.52.

განსაკუთრებულ შემთხვევაში. ეს ის შემთხვევა იყო, როცა ერთ-ერთი მეუღლე სცოდავდა მეორის წინაშე. ძველ საქართველოში განქორწინებას საინტერესო და სპეციფიკური ხასიათი ჰქონდა. განქორწინებას ყველგან და ყველა დროში ჰქონდა ადგილი, მკაცრი აკრძალვის პირობებშიც კი.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული სამართლის ძეგლები კრძალავდა განქორწინებას, კანონი იძულებული იყო ზოგიერთ შემთხვევაში დაეშვა იგი. შუა საუკუნეების საქართველოში ასეთი შესაძლებლობა მამაკაცს უფრო ქონდა ქალთან მიმართებაში. ძველი ქართული სამართალი დანაშაულის სუბიექტად მიიჩნევდა არა მარტო ცოლს და ქმარს, რომლებმაც გადაწყვიტეს განქორწინება, არამედ მესამე პირსაც, ვისი მიზეზითაც მოხდა განქორწინება. ასეთი იყო მაგალითად მამაკაცი, რომელიც კაცს წაართმევდა ცოლს და უზნეობის ხელშემწყობი „ცუდი დედაკაცი“, რომლის წამახება-დაბეზღებით ოჯახი იშლებოდა. იქიდან გამომდინარე, რომ ძველი ქართული სამართალი ოჯახის სიმტკიცის სადარაჯოზე იდგა, იგი დამნაშავედ მიიჩნევდა ყველას, ვისაც კი წვლილი ედო ოჯახის დაშლაში.

დროთა განმავლობაში საზოგადოების განვითარებასთან ერთად სამართალმაც განიცადა ტრანსფორმაცია, ამიტომ სხვა სახე მიიღო როგორც ქორწინების, ისე განქორწინების მომწესრიგებელმა ნორმებმა.

ოჯახის განმტკიცება ნიშნავს არა ყოველგვარი ქორწინების შენარჩუნებას, არამედ მხოლოდ იმისას, რომელიც ღრმად გააზრებულ ადამიანურ გრძნობებს ეფუძვნება. განქორწინება აუცილებელიც კი არის იმ შემთხვევაში, როდესაც დადგინდება, რომ მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრება, ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია. ისეთი ქორწინების შეწყვეტა, რომელსაც საფუძვლად აღარ უდევს მეუღლეთა შორის სიყვარული და მეგობრობის მაღალი განცდა, შეესაბამება არა მარტო ქორწინებაში მყოფი პირები, არამედ საზოგადოების ინტერესებსაც.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება ან მისი გარდაცვლილად აღიარება, ბუნებრივია, გამოიწვევს ქორწინების შეწყვეტას. ასეთ შემთხვევაში არ არის აუცილებელი მოხდეს ქორწინების შეწყვეტის რეგისტრაცია.

საჭიროა მხოლოდ მეუღლის გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადების ფაქტის დაფიქსირება მოხდეს სახელმწიფო რეგისტრაციის ორგანოში. პირის გარდაცვლილად გამოცხადების წესს და პირობებს ადგენს კანონი. კერძოდ, პირი სასამართლოს წესით შეიძლება გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფელის შესახებ, აგრეთვე თუ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა, ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ასეთი ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება.

რაც შეეხება ცოცხალ მეუღლეებს შორის განქორწინების შეწყვეტას, აღნიშნული ხორციელდება განქორწინების საფუძველზე. განქორწინების თავისუფლების საკითხი ისტორიულად სხვადასხვანაირად წყდებოდა. საქორწინო გარიგების მოშლა ყოველთვის იყო შესაძლებელი, ცივილიზებულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში განქორწინების თავისუფლებაა დამკვიდრებული. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ განქორწინების თავისუფლება არ ნიშნავს იმას, რომ იგი შესაძლებელია ნებისმიერ დროს და ნებისმიერი საფუძვლით. პირიქით, განქორწინება დაიშვება და მისი პროცესის გამარტივება საოჯახო სამართლებრივ სუბიექტების უფლება მოვალეობათა რეალური განხორციელების გარანტიებით უნდა იყოს განპირობებული. განქორწინება დასაშვებია არამარტო სასამართლოს მეშვეობით, არამედ უფრო მარტივადაც, კერძოდ კი განქორწინება ადმინისტრაციული წესით, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში. შედეგების მიხედვით განქორწინების ორივე წესი ერთნაირია. ორივე შემთხვევაში მეუღლეებს შორის წყდება ადრე არსებული საქორწინო ურთიერთობა.

კანონის მიხედვით, ცოლს ყოველთვის შეუძლია მოითხოვოს განქორწინება, მაშინ როდესაც ქმარი, რომლის ცოლიც ორსულადაა, ან ერთ წლამდე ასაკის ბავშვის მამა

განქორწინებაზე თანხმობას მიიღებს მაშინ, როდესაც ორსული ცოლი ან ჩვილი ბავშვის დედა ამაზე თანხმობას განაცხადებს.<sup>42</sup>

მეუღლეთა განქორწინება სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში შეიძლება მოხდეს ორ შემთხვევაში:

1. როცა მეუღლეები არ დაობენ, ორივე თანახმაა განქორწინებაზე და შეაქვთ ერთობლივი განცხადება განქორწინების შესახებ;

2. როცა განქორწინებას ითხოვს ერთ-ერთი მეუღლე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანო არ არის ვალდებული გამოარკვიოს მიზეზები, რამაც მეუღლეები მიიყვანა განქორწინების აუცილებლობამდე, ანდა მათ შესარიგებლად მიიღოს რაიმე ზომები. ხოლო მეუღლეები, როდესაც განქორწინების განცხადებით მიმართავენ სარეგისტრაციო ორგანოს, ვალდებულნი არიან განცხადებაში მიუთითონ, რომ ერთმანეთის მიმართ არ აქვთ პრეტენზიები და თანახმანი არიან განქორწინებაზე. სარეგისტრაციო ორგანო განქორწინების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ერთთვიან ვადაში. თუმცა, სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში განქორწინების დაფიქსირება არ ნიშნავს ქორწინების შეწყვეტას, ვინაიდან, ქორწინება შეწყვეტილად ჩაითვლება სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1125-ე მუხლის მიხედვით, სარეგისტრაციო ორგანოში განქორწინება შესაძლებელია ერთ-ერთი მეუღლის განცხადების საფუძველზე. ასეთი უფლებების განხორციელება შესაძლებელია სამ შემთხვევაში: 1). თუ მეორე მეუღლე კანონით დადგენილი წესით აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად, 2). თუ სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო აღიარებულია მხარდაჭერის მიმღებად (ქმედუნაროდ), 3). სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლისა.

პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შემთხვევაში, მის მეუღლეს განქორწინების უფლება წარმოეშობა სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების

<sup>42</sup> რ. შენგელია, *ქორწინება და მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი*. თბილისი., 1999, გვ 39.

გამოტანის დღიდან. რაც შეეხება პირის აღიარებას მხარდაჭერის მიმღებად, იგი ყოველთვის არ წარმოადგენს ქორწინების უდავო საფუძველს. ისეთ მეუღლესთან განქორწინება, რომელიც სასამართლომ სცნო მხარდაჭერის მიმღებად ან რომელსაც სასამართლომ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ სამი წლისა, კანონი ასეთი მეუღლეების ინეტერესების დასაცავად ადგენს განსხვავებულ წესს, კერძოდ კი სარეგისტრაციო ორგანო განცხადების თაობაზე მეორე მეუღლის მიერ შეტანილი განცხადების შესახებ უნდა აცნობოს მხარდაჭერის მიმღებად აღიარებული მეუღლის მეურვეს ან პატიმრობაში მყოფ მეუღლეს და სამი თვის განმავლობაში მისგან უნდა მიიღოს პასუხები კითხვებზე: აქვს თუ არა მას მეუღლესთან დავა ბავშვის თაობაზე, ითხოვს თუ არა წილს მეუღლის თანასაკუთრებიდან და სხვა. თუ არც ერთ კითხვაზე არ იქნა პრეტენზია გამოთქმული, სარეგისტრაციო ორგანო მოახდენს განქორწინებას.

რაც შეეხება განქორწინების სასამართლო წესით განხილვას, აღნიშნული უფრო რთულ პროცედურებთანაა დაკავშირებული. ამ შემთხვევაში, საჭიროა საქმის დეტალური შესწავლა, მოწმეთა დაკითხვა, დოკუმენტების გამოთხოვა და სხვა. სასამართლომ საქმის განხილვის პროცესში ყველა საშუალებას უნდა მიმართოს ოჯახის გადასარჩენად და საბოლოო გადაწყვეტილება ისე უნდა მიიღოს. ამიტომ, კანონმა ზუსტად განსაზღვრა ის გარემოებები, რომლებიც საფუძველად უნდა დაედოს საქმის სამსამართლოში განხილვას.

განცხადება განქორწინების შესახებ სასამართლოში შეაქვს ორივე მეუღლეს, ან ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მასში აღნიშნული უნდა იყოს განქორწინების მიზეზები. სასარჩელო განცხადებაში ასევე მითითებული უნდა იყოს: სად და როდის იქნა ქორწინება რეგისტრირებული, ჰყავთ თუ არა მეუღლეებს საერთო არასრულწლოვანი შვილები და მათი ასაკი, მიღწეულია თუ არა შეთანხმება მეუღლეებს შორის მათი შვილების რჩენის, აღზრდის თაობაზე, განქორწინებაზე ურთიერთთანხმობის შემთხვევაში განქორწინების მოტივი, სხვა მოთხოვნები, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნას სარჩელთან ერთად განქორწინების შესახებ. სასარჩელო განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ქორწინების რეგისტრაციის მოწმობა,

შვილების დაბადების მოწმობის ასლები, დოკუმენტები მეუღლეთა ხელფასისა თუ სხვა შემოსავლების შესახებ. შესაძლებელია ერთ-ერთი მეუღლე განქორწინების წინააღმდეგი იყოს, თუმცა მისი პოზიციის მიუხედავად, სასამართლო მაინც განიხილავს სარჩელს. სასარჩელო განცხადება განქორწინების შესახებ სასამართლოში შეიძლება წარადგინოს მხოლოდ მეუღლემ და არც ერთმა სხვა პირმა. მაგალითად: მეურვემ, მზრუნველმა.

სასამართლო ვალდებულია მთელი სერიოზულობით შეისწავლოს ის მიზეზები, რომლებსაც მეუღლეები განქორწინების საფუძველად თვლიან და მიიღოს ზომები მეუღლეთა შესარიგებლად. ამ მიზნით შესაძლებელია საქმის განხილვის გადადება და მეუღლეებისათვის შესარიგებელი ვადის მიცემა. ასეთი ვადა არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს. სასამართლომ მხოლოდ მას შემდეგ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება, რაც დარწმუნდება რომ, ოჯახი ფაქტიურად „დანგრეულია“, ყველა საშუალება იქნა გამოყენებული მის გადასარჩენად, თუმცა მეუღლეთა შერიგება შეუძლებელია. განქორწინების საქმე სასამართლოში განიხილება საჯაროდ, თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევებიც, როცა განხილვა მიმდინარეობს დახურულ სხდომაზე, ეს მაშინ, როდესაც, მეუღლეები აღნიშნული თხოვნით მიმართავენ სასამართლოს.

განქორწინების საქმეთა განხილვის დროს, სასამართლო უარს იტყვის მეუღლეთა განქორწინებაზე თუ, მათ შორის კონფლიქტს დროებითი ხასიათი აქვს. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.

მეუღლეთა შერიგება მეტად რთული საქმეა, მით უფრო მაშინ, როდესაც კონფლიქტი გაღრმავებულია და სასამართლოს განქორწინების შესახებ მიმართავს ერთ-ერთი მხარე. მიუხედავად ამისა, პრაქტიკიდან კარგად ჩანს, რაოდენ მნიშვნელოვანია კანონით განსაზღვრული მეუღლეთა შერიგები წესი. სტატისტიკის მიხედვით, თბილისის სასამართლოების მიერ განქორწინების შესახებ განხილული საქმეების 20-25 პროცენტი მთავრდება მხარეთა შერიგებით.

ქალაქ თბილისის სასამართლოების პრაქტიკის შესწავლა ნათელს ხდის, რომ იმ საქმეთა რიცხვი, რომელთა გამოც სასამართლო უარს ამბობს ქორწინების შეწყვეტაზე,

ძალიან ცოტაა, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მაინც ხერხდება ოჯახის შენარჩუნება. ეს იმ შემთხვევაში, თუ გულდასმით შემოწმების შემდეგ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ კონფლიქტის მიზეზების თავიდან აცილება, შეიძლება, რომ მოთხოვნა ქორწინების შეწყვეტის შესახებ დასაბუთებული არ არის სერიოზული მოტივებით.

განქორწინების მსურველი მეუღლეები, ჩვეულებრივ, წინასწარ თანხმდებიან იმის თაობაზე, თუ ვისთან იცხოვრებდნენ მათი არასრულწლოვანი შვილები და რომელი მშობელი რა რაოდენობით გადაიხდის ალიმენტს. შვილებთან დაკავშირებული ყოველგვარი დავის გადაწყვეტისას აუცილებელია საქმეში ჩართული იქნეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

უმეტეს შემთხვევაში, ბავშვების გამო დავის დროს, მშობლები ხელმძღვანელობენ შვილებისადმი წრფელი სიყვარულით. სასამართლო პრაქტიკიდან ასევე ცნობილია შემთხვევები, როდესაც მშობლები ყველანაირად ცდილობენ მიაღწიონ ბავშვის მასთან დარჩენას მხოლოდ იმ მიზნით, რომ თავი აარიდონ საალიმენტო გადასახადებს, მიიღონ უფრო მეტი საცხოვრებელი ფართი, შური იძიონ იმ მეუღლეზე, რომელიც არის განქორწინების ინიციატორი, აიძულონ იგი განაახლოს ცოლქმრული ურთიერთობა და ა.შ. ასეთი შემთხვევებისას, როდესაც სასამართლო დაადგენს მეუღლის ანგარების მოტივს, შვილების გამო დავას წყვეტს მეორე მეუღლის სასარგებლოდ.

კიდევ უფრო რთულია ისეთი შემთხვევები, როდესაც ორივე მშობელი ცდილობს ბავშვი მას დარჩეს, არა ანგარების მოტივის თვალსაზრისით, არამედ წმინდა მშობლური სიყვარულის გამო, რომ ორივე მშობელს სურს, ყოველთვის ახლოს იყოს შვილთან და აღზარდოს იგი. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო უნდა გამოდიოდეს უპირველეს ყოვლისა, ბავშვის ინტერესებიდან და ითვალისწინებდეს იმ ფაქტს თუ რომელ მშობელს უკეთ შეუძლია უზრუნველყოს ბავშვის აღზრდა.

შვილების შესახებ დავების დროს, მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოებს. მათი ამოცანაა, გამოიკვლიონ ის პირობები, რაც გააჩნიათ ორივე მეუღლეს შვილების აღსაზრდელად. მეურვეობის და მზრუნველობის

ორგანოები ისევე როგორც სასამართლოები გამოდიან იქიდან, რომ მშობლის ხელფასის ოდენობას და სხვა მატერიალურ პირობებს არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ისინი ასეთ დროს, მხედველობაში იღებენ მხოლოდ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობას და მის ინტერესებს.

შვილების შესახებ დავების განხილვისას სერიოზულ სიძნელეებს უკავშირდება ის მომენტი, როდესაც განქორწინების მომთხოვნ მუდღეობს რამოდენიმე შვილი ჰყავთ, რადგან გასათვალისწინებელია ბავშვების დაშორების მომენტი. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ ბავშვების დაშორება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელს, რომელთანაც ბავშვები იზრდებიან არ აქვს შესაძლებლობა შეუქმნას აღზრდის ნორმალური პირობები. ბავშვის განცალკევებას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ისევ და ისევ მხოლოდ ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით.

განქორწინების შესახებ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ქორწინების შეწყვეტას. ამით განქორწინების პროცესის მხოლოდ ერთი ეტაპი მთავრდება. მეორე ეტაპი გრძელდება სარეგისტრაციო ორგანოში. ამისათვის საჭიროა ერთ-ერთმა მუდღემ, ან ორივემ ერთად მიმართონ სარეგისტრაციო ორგანოს განქორწინების რეგისტრაციის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ორივე მუდღე თავს იკავებს განქორწინების რეგისტრაციისაგან, მაშინ, იგულისხმება, რომ ქორწინება კვლავ ძალაში რჩება და სასამართლომ თავისი ადრინდელი გადაწყვეტილება განქორწინების თაობაზე უნდა გააუქმოს.

განქორწინების საკითხის გადაწყვეტისას დღის წესრიგში დგება თითოეული მუდღლის განქორწინების შემდგომი გვარის საკითხი. თუ დაქორწინებისას ერთ-ერთმა მუდღემ შეიცვალა გვარი, მას უფლება აქვს იგივე გვარი ატაროს განქორწინების შემდგომაც. აღნიშნულზე მეორე მუდღლის თანხმობა საჭირო არ არის. მას ასევე შეუძლია დაიბრუნოს ქორწინებამდელი გვარი.

საოჯახო სამართლის ცალკეულ ინსტიტუტებზე, მათ შორის განქორწინებაზე, სრულყოფილი წარმოდგენის შექმნის მიზნით, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ

განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობის მიდგომას განქორწინებისადმი. ამ თვალსაზრისით, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები შესაძლებელია დავყოთ სამ ჯგუფად.

1. პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან სახელმწიფოები, რომლებიც მეუღლეთა სიცოცხლეში კრძალავენ განქორწინებას. მხოლოდ მეუღლის გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადების ფაქტს შეუძლია შეწყვიტოს ქორწინება. ასეთი მიდგომის ქვეყნებს მიეკუთვნებიან: ირლანდია, ვატიკანი, ჩილე, ესპანეთი.

2. მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობაც უშვებს განქორწინების შესაძლებლობას, თუმცა განსაზღვრული საფუძვლების ფარგლებში. ამ ფარგლებს მოიცავს ისეთი ქმედებები როგორცაა, მეუღლეთა ღალატი, მძიმე შეურაცხყოფა, თვით მეუღლეთა თანხმობა განქორწინებაზე და სხვა. ამ ჯგუფის ქვეყნებს განეკუთვნება დანია, ნორვეგია, მექსიკა, იაპონია, აშშ-ს ზოგიერთი შტატი.

3. მესამე ჯგუფს განეკუთვნება სახელმწიფოების მრავალრიცხოვანი კატეგორია. აღნიშნულ ქვეყნებში განქორწინების მიზეზებს არ არის მიკუთვნებული მეუღლეთა თანხმობა განქორწინებაზე. ამ ჯგუფის ქვეყნებს განეკუთვნებიან საფრანგეთი და ინგლისი, რომელთა სამოქალაქო კოდექსების მიხედვითაც, განქორწინება ეფუძვნებოდა მეუღლეთა ბრალეულობის პრინციპს. კერძოდ კი, მეუღლეებს უნდა ემტკიცებინათ მოსარჩელე ან მოპასუხე მეუღლის ბრალი განქორწინების საქმეებთან დაკავშირებით.

### 2.3 ქორწინების ბათილობა

საოჯახო კანონმდებლობა, როგორც უკვე აღინიშნა, ცნობს მხოლოდ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში რეგისტრირებულ ქორწინებას. სწორედ ამ მომენტიდან მეუღლეებს წარმოეშობათ უფლებები და მოვალეობები, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ დაცულია მოთხოვნა ქორწინების სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ, ქორწინება შეიძლება გახდეს ბათილი, თუ მისი რეგისტრაციისას დარღვეულია ის პირობები, რომელთა არსებობაც გამორიცხვას ქორწინებას.

ქორწინების ბათილობა დგება მაშინ, როდესაც დარღვეულია ქორწინების აუცილებელი პირობები, ან ქორწინება მოხდა ისეთი დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობისას, რომლის დროსაც ქორწინება აკრძალულია ან ქორწინება მოხდა ისეთი მთავარი მიზნის და განზრახვის გარეშე, როგორცაა ნამდვილი ოჯახის შექმნა. ბათილობის დროს იგულისხმება, რომ საქორწინო-საოჯახო ურთიერთობა თავიდანვე არ ყოფილა წარმოშობილი.<sup>43</sup>

ქორწინების ბათილობის სიღრმისეული ანალიზი დასტურია იმისა, რომ მსგავს შემთხვევაში რეგისტრირებული ქორწინების უარყოფასთან ერთად ხდება პასუხისმგებლობის სპეციფიკური ფორმის გამოყენებაც.<sup>44</sup>

ქორწინების გაბათილება, როგორც სანქციის გაბათილების სახე, მეუღლეთა მიმართ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა მექორწინეთა განზრახვა, კანონის მოთხოვნათა გვერდის ავლით გატარებულიყვნენ ქორწინების რეგისტრაციაში. თუმცა პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც მეუღლეებმა არაფერი იცოდნენ იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც კრძალავენ ქორწინების შესძლებლობას.

ქორწინების გაბათილების სერიოზულ საფუძველს წარმოადგენს აგრეთვე მექორწინეთა ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევა. ვინაიდან, ნამდვილ ქორწინებას საფუძვლად უდევს მექორწინეთა მიერ ურთიერთთანხმობის და ნება-სურვილის თავისუფალი გამოვლინება.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლომ შეიძლება ბათილად ცნოს ისეთი ქორწინება, რომელიც გაფორმდა:

1. იმ პირებს შორის, რომელთაგანაც თუნდაც ერთი სხვა ქორწინებაში იმყოფებოდა.(იმ გარემოებას, იცოდა თუ არა მეორე მეუღლემ აღნიშნულის შესახებ, მნიშვნელობა არ აქვს).

2. პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავებს შორის (თუნდაც დაქორწინების დროს მათ ამის შესახებ არ სცოდნოდათ);

---

<sup>43</sup> ს. ჯორბენაძე, *საოჯახო საართლის საფუძვლები, კრებულში „სამართლის საფუძვლები“*, თბილისი., 1977, გვ 485.

<sup>44</sup> Антокольская М. В. *Семное Право*. М., С 125.

3. ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ და-ძმას შორის (აქაც მათ ცნობადობას არ აქვს მნიშვნელობა);

4. მშვილბელსა და ნაშვილებს შორის, მიუხედავად იმისა, მათ შორის ქორწინებისას გამოირიცხულია სისხლი დაკავშირებული უარყოფითი შედეგები;

5. იმ პირებს შორის, რომელთაგანაც თუნდაც ერთ-ერთი სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად;

ქორწინების ბათილად აღიარების საფუძველია ერთ-ერთი მეუღლის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის დამალვა ქორწინების რეგისტრაციის დროს, ვიანაიდან ასეთ დროს საფრთხე ექმნება მეორე მეუღლის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს და მომავალ ბავშვს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლით განსაზღვრულია ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, რომელიც მისი გაბათილების უდავო საფუძველს არ წარმოადგენს. ქორწინების გაბათილება არის სასამართლოს უფლება და არა ვალდებულება, რაც გულისხმობს იმას, რომ სასამართლო ქორწინებას ბათილად ცნობს მაშინ, როდესაც დარწმუნდება გაბათილების აუცილებლობაში.

ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობისას ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება აქვთ მეუღლეებს და იმ პირებს, რომლის უფლებებიცაა დარღვეული აღნიშნული ქორწინებით. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან ნათესავები, ყოფილი მეუღლე, შვილები და სხვა.

ქორწინების გაბათილების ერთ-ერთ სერიოზულ საფუძველს წარმოადგენს მექორწინეთა ნების ისეთი გამოვლინება, რომელიც მიზნად არ ისახავს ოჯახის შექმნას. ასეთი ქორწინება უნდა ჩაითვალოს ფიქციურად. იურიდიულ ლიტერატურაში დიდი მსჯელობის საგანია საკითხი იმის თაობაზე, რომ ფიქციურად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის ქორწინება, რომლის დროსაც არც ერთ მეუღლეს არ ჰქონდა განზრახვა შეექმნა ოჯახი, თუ ის ქორწინებაც, რომლის დროსაც ოჯახის შემნის განზრახვა ჰქონდა მხოლოდ ერთ-ერთ მეუღლეს. მექორწინებები ცდილობენ დაქორწინება გამოიყენონ სულ სხვა მიზნებისათვის, ვიდრე ოჯახის შექმნაა. (მაგალითად: სამკვიდრო ქონების მიღება,

სამხედრო სამსახურისაგან თავის დაღწევის სურვილი და სხვა). მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ მათგანს გულწრფელად ჰქონდა ოჯახის შექმნის სურვილი და არაფერი იცოდა მეორის ნამდვილი ნების განზრახვის შესახებ, ასეთ შემთხვევაში ქორწინება არ ჩაითვლება ფიქციურად, ვინაიდან უპირველესად კეთილსინდისიერი მექორწინის ინტერესები უნდა იქნას გათვალისწინებული. მაგრამ თუ ორივე მეუღლეს მიზნად ჰქონდა ქორწინების შედეგად არა ოჯახის შექმნა, არამედ რაიმე გამორჩენის მიღება, სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება ქორწინების ბათილობის შესახებ გააჩნია სარეგისტრაციო ორგანოს, ხოლო, თუ ერთ-ერთი მეუღლე დაქორწინდა ისე, რომ მიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას, ასეთი სარჩელის აღძვრა მეორე მეუღლესაც შეუძლია.<sup>45</sup>

ქორწინება დაკარგავს ფიქციურ ხასიათს, თუ მეუღლეები შეცვლიან განზრახვას და ნამდვილად შექმნიან ოჯახს. ასეთ შემთხვევაში, ქორწინების ბათილად ცნობა არ დაიშვება. ფიქციური ქორწინების ბათილად ცნობა წარმოადგენს საფუძველს ამ ქორწინებით წარმოშობილი ყველა ურთიერთობის შეწყვეტისათვის. თუ ქორწინება ბათილად იქნა ცნობილი სამართლო წესით, მისი შეწყვეტის შემდეგ, მაშინ სასამართლოს გადაწყვეტლება განქორწინების შესახებ უნდა გაუქმდეს.

განქორწინებისაგან განსხვავებით, რაც მომავალში საქორწინო და საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობათა შეწყვეტას ედება საფუძველად, ქორწინების ბათილობას გააჩნია უკუქცევითი ხასიათი. იგი ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდანვე არ წარმოშობს მეუღლეთა უფლებებსა და მოვალეობებს. რადგან, ქორწინების გაბათილება ნიშნავს მექორწინეთა შორის მეუღლეობრივი უფლება-მოვალეობების არსებობის უარყოფას, ყოველგვარი ქონებრივი დავა მათ შორის უნდა გადაწყდეს, როგორც კერძო პირებს შორის საერთო საკუთრების თაობაზე წარმოშობილი დავა.

ქორწინების გაბათილებისას შესაძლოა ერთი ან თუნდაც ორივე მეუღლის ინტერესების შელახვა, რაც უპირველეს ყოვლისა, შეიძლება გამოიხატოს ქონებრივ ზიანში. ასეთ შემთხვევაში, კეთილსინდისიერ მეუღლეს აქვს უფლება მეორე მეუღლისაგან

---

<sup>45</sup> საქართველოს უზენაესი საამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. თბილისი., 2003, N 12, გვ 3288.

მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მიაღდა მას ქორწინების გაბათილებით. ასეთი დავის არსებობის შემთხვევაში, დავას წყვეტს სასამართლო. ქორწინების გაბათილება ხშირ შემთხვევაში კეთილსინდისიერი მეუღლის არამართო ქონებრივ ზიანს იწვევს, არამედ პატივის და ღირსების შელახვასაც, ამიტომაც მსგავს შემთხვევაში არამართო ქონებრივი, არამედ მატერიალური ზიანის ანაზღაურებაც უნდა მოხდეს.<sup>46</sup>

ქორწინების გაბათილება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაა და არავის არ აქვს უფლება ქორწინება ჩათვალოს გაბათილებულად თუ არ იქნება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების უმრავლესობა არ არის მუდმივი ხასიათის და შესაძლებელია მათი მოსპობა. ქორწინების გაბათილების შემდეგ თუ მოისპო ის გარემოება, რომლის საფუძველზეც ქორწინების ბათილობა მოხდა, შესაძლოა, ადერე ქორწინებაში მყოფი პირები საერთო წესის მიხედვით ხელახლა დაქორწინდნენ. ხელახალი დაქორწინებისათვის აუცილებელია ქორწინების ბათილობის მოწმობის წარდგენა სარეგისტაციო ორგანოში.

---

<sup>46</sup> შ. ჩიკვაველი, *საოჯახო სამართალი, თბილისი., 2004, გვ 264.*

## თავი მესამე

### მეუღლეთა სამართლებრივი ურთიერთობანი

ქორწინება მეუღლეებს შორის წარმოშობს მრავალმხრივ და რთულ ურთიერთობებს. მათი განსაზღვრული ნაწილი ზნეობრივი ნორმებით რეგულირდება. პირადთან შედარებით ქონებრივი ურთიერთობები დეტალურადაა მოწესრიგებული სამართლებრივი ნორმებით. მათი ერთობლიობა წარმოადგენს საქორწინო-სამართლებრივ ურთიერთობებს.<sup>47</sup>

ქორწინების მთელი პერიოდის განმავლობაში მეუღლეები სრული მოცულობით ინარჩუნებენ სამოქალაქო უფლებაუნარიანობას და ქმედუნარიანობას. აღნიშნულიდან გამომდინარე მათ შეიძლება ჰქონდეთ ნებიმიერი სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება და მოვალეობა ნებისმიერ პირთან და ერთმანეთთან ურთიერთობაშიც.<sup>48</sup>

მეუღლეთა შორის პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობის განაწილებისას სამართალი გამოდის მათი თანასწორობის პრინციპიდან, რომელსაც საფუძვლად უდევს საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებთან ერთად, საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსი. კონსტიტუციური დებულება, რომლის მიხედვითაც ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას შედარებით დეტალურ გამოხატულებას პოულობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1152-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, მეუღლეებს თანაბარი უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ. თანაბარი უფლებები თანაბარი მოვალეობებითაა განპირობებული. რეგისტრირებული ქორწინების შედეგად წარმოშობილი პირადი უფლებები და მოვალეობები არსებითად განსხვავდება ქონებრივი ხასიათის უფლება-მოვალეობებისაგან. პირადი უფლებების მნიშვნელოვანი ნაწილი მეუღლეებს შეიძლება ჰქონდეთ დაქორწინებამდეც.

<sup>47</sup> რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია. *საოჯახო და მეშვიდრობის სამართალი*. თბილისი., 2015, მერიდიანი, გვ 111.

<sup>48</sup> რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია. *საოჯახო სამართალი*. თბილისი., 2009.

მეუღლეთა პირად და ქონებრივ ურთიერთობათა რეგულირებისას კატეგორიულად არის აკრძალული ყოველგვარი დისკრიმინაცია. მეუღლეთა სრული თანასწორუფლებიანობა და არა რაიმე პირდაპირი და არაპირდაპირი უპირატესობის მინიჭება წარმოშობს, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიხედვით, წარმოადგენს საოჯახო სამართლის ამოსავალ პრინციპებს, რაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ანტიდისკრიმინაციული პოზიციის ნათელი გამოხატულებაა.

### 3.1 მეუღლეთა პირადი ურთიერთობები

მეუღლეთა შორის ურთიერთობაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა გააჩნია პირად ურთიერთობებს. ქორწინება მეუღლეთა პირადი კავშირია, რასაც საფუძვლად უდევს ურთიერთპატივისცემა და მტკიცე ოჯახის შექმნის სურვილი.<sup>49</sup> პირად უფლებათა მსგავსად, ქონებრივი უფლებების განსაზღვრული ნაწილი პირს შეიძლება ქორწინებამდე ჰქონეს. დაქორწინება საოჯახო ურთიერთობათა ფარგლებში მოხვედრილ ქონებრივ ურთიერთობებს განსაკუთრებულ სპეციფიკას ანიჭებს. მეუღლეთა პირადი უფლებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქორწინების მომენტიდან წარმოშობილი უფლებები. მათ მიეკუთვნება გვარის არჩევისა და საოჯახო საკითხების ერთობლივად გადაწყვეტის უფლება.<sup>50</sup>

დაქორწინებისას მეუღლეები თავიანთი სურვილის მიხედვით ირჩევენ ერთ-ერთი მეუღლის გვარს ან ინარჩუნებენ იმ გვარს, რომელიც ქორწინებამდე ჰქონდათ. ქამარს არ აქვს უფლება იძულებით ჩაწეროს ცოლი თავის გვარზე. უფრო მეტიც, ცოლს უფლება აქვს დაიტოვოს ის გვარი, რომელიც მას პირველი ქორწინებისას ჰქონდა. დასაშვებია ასევე მეუღლეების შეერთებული გვარების ტარება. ერთი მეუღლის მიერ გვარის გამოცვლა არ ნიშნავს მეორე მეუღლის გვარის გამოცვლასაც. მათი ნებაა, განქორწინების შემდგომ ან ატარონ ქორწინების დროს მიღებული გვარი, ან სასამართლოს მეშვეობით

<sup>49</sup> რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია. *საოჯახო სამართალი*. თბილისი., 2015, მერიდიანი. გვ 112

<sup>50</sup> ჩიკვაშვილი., შ. *საოჯახო სამართალი*. თბილისი., 2004, მერიდიანი.

ალიდგინონ ქორწინებამდელი გვარი. ასეთ დროს მეორე მეუღლის ნებას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.<sup>51</sup>

ადამიანი პროფესიას ირჩევს მისი ინტერესებისა და შემოქმედების შესაძლებლობების გათვალისწინებით. სამუშაო პირს უნდა მისცეს შემოსავალი და მოუტანოს სულიერი და მორალური კმაყოფილება. ამიტომ, პირს არ აქვს არავითარი უფლება უკარნახოს მეუღლეს თავისი ნება პროფესიის ან სამუშაოს არჩევისას. მოქალაქის მიერ ისეთი საქმიანობის და პროფესიის არჩევის უფლება, რაც კანონით არ არის აკრძალული, განმტკიცებულია საკანონმდებლო წესით. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მეუღლეებმა ურთიერთშეთანხმებით ან ცალმხრივად არ უნდა მიმართონ ისეთ ქმედებას, რაც დააბრკოლებს მათ მიერ სასწავლებლის, ამა თუ იმ პროფესიის, ამა თუ იმ ორგანიზაციაში მუშაობის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობას.

მეუღლეები თავისუფალნი არიან აგრეთვე, საცხოვრებელი ადგილის არჩევისას. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება გამოხატავს მეუღლეთა სრული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეას და მიზნად ისახავს მათი უფლებების დაცვას იმ შემთხვევაში, თუ მათ არ სურთ შეიცვალონ საცხოვრებელი ადგილი ერთ-ერთი მეუღლის სხვა ადგილზე საცხოვრებლად გადასვლასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი მეუღლის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა არ იწვევს ავტომატურად მეორე მეუღლის ვალდებულებას, ასევე შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი <sup>52</sup>. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევა გულისხმობს, რომ მეუღლეების საცხოვრებელ ადგილად შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც ქმრის, ისე ცოლის საცხოვრებელი ადგილი. დღევანდელი კანონი არ ცნობს ძველი ქართული საოჯახო სამართლით გათვალისწინებულ წესს, რომლის მიხედვითაც ქმრის საცხოვრებელი ადგილი ითვლებოდა სავალდებულოდ ცოლისათვის.

---

<sup>51</sup> ნ. შოშიაშიაშვილი, *მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები, ჟურნალი „სამართალი“*, თბილისი., 2002, N 5-6, გვ 35.

<sup>52</sup> Газета „Аргументы и Факты“, N39, от 9 августа, 2002.

საოჯახო საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს შვილების ყოლა და მათი აღზრდა. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა, თუ როდის და რამდენ შვილს იყოლიებენ მეუღლეები დამოკიდებულია მათ სურვილზე. ყველ სხვა პირი ვალდებულია თავი შეიკავოს მეუღლების გადაწყვეტილებაში ჩარევისგან ანდა შვილების აღზრდის პროცესში ხელისშემშლისგან, გარდა კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევისა. მშობლები ვალდებულნი არიან შვილები აღზარდონ ფიზიკურად, გონებრივად და ზნეობრივად.<sup>53</sup> ისინი აღნიშნულ უფლება-მოვალეობებს ურთიერთშეთანხმებით ახორციელებენ. ერთ-ერთი მეუღლის მიერ პირადი უფლებების ან მოვალეობის ბოროტად გამოყენება, ოჯახის ინტერესების აშკარა უგულვებელყოფა, მეორე მეუღლის მხრიდან შესაძლოა გახდეს განქორწინების მიზეზი. როგორც წესი, ერთად მცხოვრებ მეუღლეებს შორის ასეთ საკითხზე დავა იშვიათადაა. მაგრამ, თუ მეუღლეებს შორის წარმოიშვა დავა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სადაო საკითხის გადაწყვეტა მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს კომპეტენციას წარმოადგენს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1233-1274-ე მუხლებში განსაზღვრულია შვილების პრინციპები. მათ შორის უმთავრესია არასრულწლოვანი შვილის ინტერესების დაკმაყოფილება.

ლიტერატურაში გვხვდება მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მცირე ასაკის ბავშვის მიმართ უნდა მოქმედებდეს პრეზუმცია დედის სასარგებლოდ. აქ საუბარია იმაზე, რომ ადრეულ ასაკში ბავშვის ორგანიზმის თავისებურებიდან გამომდინარე, ბავშვს უფრო მეტად ესაჭიროება დედის მოვლა და ვფიქრობ, რომ სასამართლო ვალდებულია გაუწიოს ანგარიში აღზრდის ამ განსაკუთრებულ პირობას. თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ ეს მოსაზრება ვერ გახდება გადაწყვეტი, ვინაიდან გათვალისწინებული უნდა იქნას საქმის ყველა სხვა გარემოება.

მშობლის განქორწინება გარკვეულწილად ყოველთვის შეეხება ბავშვის ინტერესებს და სწორედ ამიტომ, კანონი ავალდებულებს სასამართლოს განქორწინების შესახებ

---

<sup>53</sup> რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია. *საოჯახო სამართალი*. თბილისი., 2009, მერიდიანი.

გადაწყვეტილების გამოტანისას, საკუთარი ინიციატივით განსაზღვროს თუ რომელ მეუღლესთან რომელი შვილი დარჩება. (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1127-ე მუხლის მეოთხე ნაწილი და 1201 მუხლის მეორე ნაწილი).

კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის პირობები, რომელშიც იზრდებიან ბავშვები, მათი ასაკი, განვითარების თავისებურებანი, მშობლების ურთიერთობის ხარისხი, მშობლების მიმართ ბავშვის დამოკიდებულება, შვილებზე მშობლის დადებითი ან უარყოფითი ზეგავლენა, ასევე სხვა კონკრეტული გარემოებანი, რომლებმაც საქმის განხილვისას იჩინა თავი. იმ შემთხვევაში, თუ დედის მზრუნველობა სრულებით უზრუნველყოფს არასრულწლოვანი შვილის ინტერესებს, სასამართლოს არ აქვს საფუძველი დააკმაყოფილოს მამის სარჩელი მისთვის ბავშვის აღსაზრდელად გადაცემის შესახებ.<sup>54</sup>

სასამართლო პრაქტიკის მასალებიდან და ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებებიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ „ბავშვის ინტერესებში“ შედის ცხოვრების იმგვარი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო დონე, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის ნორმალურ განვითარებასა და საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობათვის მის მომზადებას, ბავშვის სიყვარული აღმზრდელობისა და ოჯახში მცხოვრები სხვა ბავშვების მიმართ, ოჯახის საერთო კულტურული დონე, აღმზრდელის თბილი დამოკიდებულება ბავშვის მიმართ და ა. შ.

აღნიშნულთან მიმართებაში სასამართლოს მეტად რთული და მნიშვნელოვანი მისია აკისრია, ვინაიდან მშობლების მიმართ შვილების სიყვარული შეიძლება იყოს მკვეთრად გამოხატული და ფარული, არაგულწრფელი და იბულებითი, შეიძლება ექვემდებარებოდეს ან არ ექვემდებარებოდეს ახსნას.<sup>55</sup> ამიტომ, სასამართლომ ყველა დეტალი უნდა გაითვალისწინოს და ისე გადაწყვიტოს არასრულწლოვანი შვილის რომელიმე მშობელზე მიკუთვნების საკითხი.

---

<sup>54</sup>Е. М. Ворожейктн, *Обеспечение и защита прав и интересов несовершеннолетних субъектов семейных правоотношений*, „Советская ностисия“. М., 1979, с 16 , N 15.

<sup>55</sup> А. И. Пергамент, *Вопросы семеного право*, - *Научные комментарии судебной практики за 1955 год*. Госюризгам, 1957, С 131.

### 3.2 მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები

მეუღლეებს თავიანთი მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად სჭირდებათ განსაზღვრული ქონება. მეუღლეთა საკუთრების რეჟიმის გარკვევისას, უპირველესე ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ მეუღლეთა საკუთრებაში არსებული ქონება შეიძლება სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმის იყოს. მათი მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა სხვადასხვა საფუძველზე ხდება. კანონმდებლობით მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად- ინდივიდუალურ ანუ განცალკევებულ და საერთო თანაზიარ საკუთრებად, ანუ თანასაკუთრებად.

ინდივიდუალურია ისეთი საკუთრება, რომელიც ეკუთვნის ერთ-ერთ მეუღლეს და თვითონ განკარგავს. აღნიშნულ ქონებას მიეკუთვნება ქორწინებამდელი, ქორწინების პერიოდში ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონება, პირადი მოხმარებისათვის შეძენილი ნივთები და სხვა.<sup>56</sup> მეუღლეთა საერთო თანაზიარი საკუთრება მათ მიერ ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონებაა. მაგალითად, მეუღლეთა ერთობლივი მოხმარების საგნები, ხელფასი და სხვა ფულადი შემოსავალი. თანაზიარი საკუთრება მეუღლეებს ეკუთვნით თანაბრად, წილთა განუსაზღვრელად და გამოიყენება საერთო ინტერესებიდან გამომდინარე.

მეუღლეებს გააჩნიათ თანაზიარი ქონების მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის თანაბარი უფლებები. ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს რომელიმე მეუღლის უფლებამოსილების რაიმე ფორმით შეზღუდვას, უნდა ჩაითვალოს ბათილად, რადგან ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ დებულებას მეუღლეთა თანაბარი უფლებების შესახებ.

მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის ყველაზე გავრცელებულ საშუალებას სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება წარმოადგენს. ქონების განკარგვა შეუძლია ერთ-ერთ მათგანს ან ორივე მეუღლეს ერთად.<sup>57</sup> ორივე შემთხვევაში, გარიგების დადებისას მეუღლეთა ნება თავისუფლად უნდა იყოს გამოვლენილი. როცა ერთი მეუღლე განკარგავს თანაზიარ საკუთრებას, იგულისხმება,

<sup>56</sup> Р Саватьс, *Теория обзательств* . М.,1972, с 58.

<sup>57</sup> რ შენგელია. *საოჯახო სამართალი*. თბილისი.1999, გამომცემლობა მერიდიანი

რომ მეორე მეუღლეს თანახმაა ამაზე. ერთი მეუღლის მიერ დადებული გარიგება არ შეიძლება მეორე მეუღლემ სადაო გახადოს იმის გამო, რომ მას თანხმობა არ მიუცია.

როგორც ცნობილია, მოძრავი და უძრავი ქონების სამართლებრივი მდგომარეობა თანაზიარი საკუთრების დროს განსხვავებულია. უძრავ ქონებაზე უფლებების წარმოშობის შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს მისი სახელმწიფო რეგისტრაცია. გაურკვეველია იმ მეუღლის მდგომარეობა, რომელიც ფაქტობრივად საერთო ქონების მესაკუთრეა, თუმცა არ არის რეგისტრირებული როგორც მესაკუთრე ამიტომ, მას არ აქვს შესაძლებლობა განკარგოს თანაზიარი ქონება. აღნიშნულ თემას ეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლი, რომელშიც ჩვენი აზრით, აუცილებელია მოხდეს დამატება, იმის შესახებ, რომ თანაზიარი უძრავი ქონების რეგისტრაცია მოხდეს ორივე მეუღლის სახელზე და არა ერთ-ერთი მეუღლის, როგორც ახლანდელ კანონმდებლობაშია. აღნიშნულის აუცილებლობა დადასტურებულია არაერთი სასამართლო პრაქტიკით.<sup>58</sup>

ქორწინების ფაქტი არ შეიძლება საფუძველად დაედოს მეუღლეთა თანასაკუთრებაში იმ ქონების ჩართვას, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდათ დაქორწინებამდე. ასეთი ქონება არის მათი ინდივიდუალური საკუთრება და მისი მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა თითოეული მეუღლის მიერ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ხორციელდება. ქორწინების შემდეგ შეძენილი ყველა სახის ქონება არ წარმოადგენს თანაზიარ ქონებას. თანაზიარად ითვლება მხოლოდ ის ქონება, რომელიც შეძენილია საერთო სახსრებით და განკუთვნილია საერთო სარგებლობისათვის.<sup>59</sup>

მეუღლეთა საერთო სახსრებით შეძენილი ყველა ქონება არ ითვლება მათ თანასაკუთრებად. აქ საუბარია ინდივიდუალური სარგებლობისათვის განკუთვნილ ნივთებზე, როგორებიცაა: კოსმეტიკა, ტანისამოსი, ყელაბამი და სხვა.

---

<sup>58</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი. სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, თბილისი., 2009, N 9, გვ 7.

<sup>59</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი. სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. თბილისი., 2003, N 2 გვ 393.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაძლებელია მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება გადაიქცეს თანაზიარად. მეუღლეთა ქონების ინდივიდუალური საკუთრებიდან თანაზიარ საკუთრებად გადაქცევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ქორწინების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ქონების ღირებულება, რომელიც წარმოადგენდა ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას.<sup>60</sup>

თანაზიარი საკუთრებისას მეუღლეთა წილის განსაზღვრა შეიძლება მოხდეს ერთ-ერთი მეუღლის ან ორივე მათგანის მიერ თანაზიარი ქონების გაყოფის მოთხოვნის შემთხვევაში. საერთო ქონების გაყოფის საკითხი დგება მაშინ, როდესაც მეუღლეები გადაწყვეტენ განქორწინებას. საჭიროა, ასეთ დროს შეწყდეს საკუთრების უფლებაც. ამიტომ, ხდება იმ ქონების გაყოფა რომელი ქონებაც მეუღლეებმა ერთად ცხოვრების პერიოდში შეიძინეს. მეუღლეთა თანაზიარი ქონების გაყოფა შესაძლებელია აგრეთვე ქორწინების განმავლობაშიც. ეს ძირითადად მაშინ ხდება, როდესაც მეუღლეები სხვადასხვა მიზეზების გამო, იძულებულნი არიან იცხოვრონ ცალ-ცალკე. მეუღლეების საკუთრების გაყოფის დროს გადასაწყვეტია არამარტო თითოეულის წილის განსაზღვრა, არამედ თითოეული ნივთის ბედის საკითხიც. არის შემთხვევები, როდესაც მეუღლეები ვერ თანხმდებიან ქონების გაყოფასთან დაკავშირებით. ასეთ დროს დავას წყვეტს სასამართლო. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქორწინების განმავლობაში მეუღლეს შორის დავა თანაზიარი ქონების გაყოფის შესახებ იშვიათად ხდება, ან მას სერიოზული ხასიათი არ გააჩნია.

კანონმა მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებაში ზოგიერთი სახის ქონების სამართლებრივი მდგომარეობა წინასწარ განსაზღვრა. ასეთ ქონებას განეკუთვნება პროფესიული საქმიანობის საგნები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1165-ე მუხლი იმპერატიული მოთხოვნაა, პროფესიული დანიშნულების საგნები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მეუღლეთა საერთო სახსრებით არის შეძენილი, გადაეცემა იმ მეუღლეს,

---

<sup>60</sup> ო. ზომიძე. *მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი*, ჟურნალი „საქართველოს ნოტარიატი“. თბილისი., 2002.

რომელსაც ისინი თავისი საქმიანობისთვის სჭირდება. მაგალითად: მუსიკოსს-მუსიკალური ინსტრუმენტი, ექიმს-საექიმო მოწყობილობა და სხვა.

მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის დროს, სასამართლო ჯერ გამორიცხავს ყველა იმ ნივთს, რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალურ საკუთრებას, შემდეგ კი ადგენს საერთო ქონების ოდენობას ნივთობრივ და თანხობრივი გამოხატულებით.<sup>61</sup> არის შემთხვევები, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე მერე მეუღლის წილის შემცირების მიზნით ყიდის ან მაღავ საერთო ქონების ნაწილს. ასეთ შემთხვევაში, სასამართლომ დარჩენილი ქონების გაყოფისას უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული გარემოება და მოახდინოს დაკავებული ქონების კომპენსირება. მაგარამ, თუ ერთ-ერთმა მეუღლემ თანაზიარი ქონების ნაწილი გამოიყენა მისი ან ოჯახის სხვა წევრების სარჩენად, სასამართლოს მიერ ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას აღნიშნული ფაქტი და მისი კუთვნილი ნაწილი ამის გამო არ უნდა შემცირდეს.<sup>62</sup>

ქორწინების განმავლობაში საერთო სახსრებით შეძენილი ქონების გაყოფისას, დავა შეიძლება არსებობდეს არა მთელ საერთო ქონებაზე, არამედ მხოლოდ მის ნაწილზე.

ქორწინების პერიოდში საერთო ქონების ან მისი ნაწილის გაყოფის შესახებ შეთანხმება ან სამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება მეუღლეთა სურვილის საფუძველზე გაუქმებული იქნეს. ასეთ შემთხვევაში მეუღლეთა განცალკევებული ქონება კვლავ ჩაითვლება თანაზიარ საკუთრებად.<sup>63</sup>

თანაზიარი საკუთრების გაყოფისას მეუღლეთა წილი აუცილებელია თანაბარი იყოს. ეს შეთანხმება მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ მეუღლეებს შორის სხვა სახის შეთანხმება არ არსებობს. აღნიშნულის შესაძლებლობას უშვებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია მეუღლეთა საერთო საკუთრების წილის არათანაბარი განსაზღვრა არასრულწლოვანი შვილების, ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობით.

<sup>61</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება N6, (14 თებერვალი).

<sup>62</sup> რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია. *საოჯახო სამართალი*. თბილისი., 2009, მერიდიანი.

<sup>63</sup> გ. გოლოშვილი. *მეუღლეთა თანასაკუთრება, ჟურნალი „საქართველოს ნოტარიატი“*, თბილისი., 2002. გვ. 23.

ეს ის შემთხვევაა, როდესაც საერთო ქონების გაყოფისას ერთ-ერთი მეუღლის წილი იზრდება, როდესაც მასთან არასრულწლოვანი შვილები ცხოვრობენ ან უნდა იცხოვრონ ანდა, როცა იგი შრომისუუნაროა და მეორე მეუღლე უარს ამბობს მატერიალურ დახმარებაზე.<sup>64</sup> ასევე, სასამართლომ შეიძლება უარი თქვას მეუღლეთა შორის საერთო საკუთრების თანაბარ გაყოფაზე იმ მოტივის გათვალისწინებით, როცა ერთ-ერთი მეუღლე ფლანგავდ საერთო ქონებას ოჯახის წევრების ინტერესთა საზიანოდ. თუ აღნიშნული სამი მოტივიდან ერთ-ერთი მაინც არსებობს სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მეუღლეთა საერთო ქონების არათანაბარი გაყოფის შესახებ. სასამართლომ აღნიშნული უფლება მხოლოდ მაშინ უნდა გამოიყენოს, როდესაც ის დარწმუნდება ზემოთ ხსენებული მიზეზების არსებობაში.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც მართალია მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობენ მაგრამ ერთი მათგანი ოჯახის აღდგენის სურვილით მეორე მეუღლეს მატერიალურად ეხმარება ქონების შექმნაში. ასეთ გარემოებაში შექმნილი ქონება შეიძლება ჩაითვალოს თანაზიარ საკუთრებად და გაიყოს მეუღლეთა შორის.<sup>65</sup>

მეუღლეთა ქონების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა მჭიდროდაა დაკავშირებული მათი პირადი და საერთო ვალის ცნებასთან. პირადია ვალი, რომელსაც გააჩნია კერძო ხასიათი და რომელიც აღიარებული იქნა ქორწინებამდე ან თუნდაც ქორწინების პერიოდში, მაგრამ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. საერთო არის ისეთი ვალი, რომელიც აღებულია ორივე მეუღლის მიერ ან შეიძლება ერთ-ერთი მეუღლის მიერ, თუმცა ოჯახის წევრების ინტერესებიდან გამომდინარე. მეუღლეთა საერთო ვალები მათ შორის იყოფა ქონების იმ ნაწილის თანაზომიერად, რა ოდენობის ქონებაც თითოეულ მათგანს გააჩნია თანაზიარ საკუთრებაში.

კანონი იცავს მეუღლის ქონებრივ ინტერესებს, თუ მეორე მეუღლე სხვადასხვა ქონებრივ გარიგებებში მონაწილეობს თავისი და არა ოჯახის წევრთა ინტერესების გათვალისწინებით, ასეთ შემთხვევაში მოვალე მეუღლის ვალის დასაფარად

---

<sup>64</sup> შალვა ჩიკვაშვილი. *საოჯახო სამართალი*. თბილისი., 2004, მერიდიანი.

<sup>65</sup> ნ. შოშიაშვილი, *მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები სანოტარო პრაქტიკაში, დისერტაცია*, თბილისი., 2004

გადახდევინება ხდება მისი ინდივიდუალური საკუთრებიდან და იმ წილიდან, რომელიც გააჩნია მას თანასაკუთრებაში. იმ შემთხვევაში თუ ვალის დასაფარად საკმარისა მოვალე მეუღლის ინდივიდუალური საკუთრების ქონება, მაშინ გადახდევინება მოხდება სწორედ ამ ქონებიდან. მაგრამ, თუ ვალი აღებულია ერთ-ერთი მეუღლის მიერ თუმცა ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე, ვალის დაფარვა უნდა მოხდეს ორივე მეუღლის თანაზიარი საკუთრებიდან, ვინაიდან იგულისხმება, რომ ვალი საერთოა. სწორედ სასამართლოს პრეროგატივაა, გარკვეოს ის ფაქტი, ოჯახის ინტერესების გათვალისწინებით მოხდა ვალის აღება თუ პირადი ინტერესების. სასამართლო ამ დროს ადგენს ვალის აალების მიზანს და მისი გამოყენების შედეგებს.

დავებს, საერთო, საზიარო საკუთრების გაყოფის თაობაზე მეუღლეები აგვარებენ სასამართლოს მეშვეობით. კანონით განსაზღვრულია ვადები, რა ვადაშიც შეუძლიათ მეუღლეებს მიმართონ სასამართლოს. კანონი ადგენს სამწლიან ხანდაზმულობის ვადას იმ მოთხოვნებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია მეუღლეთა თანაზიარი ქონების გაყოფასთან. ამ ვადის დენა იწყება ქორწინების შეწყვეტის მომენტიდან, ესეიგი, სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში განქორწინების რეგისტრაციის დღიდან.

## თავი მეოთხე

### საქორწინო ხელშეკრულების ისტორიულ-სამართლებრივი მიმოხილვა

საოჯახო სამართალში იმპერატიული ნორმების ზემოქმედებისაგან დასაღწევად ბევრი წყვილი უარს ამბობდა დაქორწინებაზე, თუმცა დღეს მათ აქვთ შესაძლებლობა საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე გადაწყვიტონ ერთმანეთს შორის ქონებრივი ურთიერთობის ნებისმიერი საკითხი.<sup>66</sup>

კანონი ამკვიდრებს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის ახალ სახეს სახელეკრულებო-ქონებრივ ანუ საქორწინო-საკონტრაქტო ურთიერთობას. საქორწინო ხელშეკრულება საშუალებას აძლევს მათ ვინც ქორწინდება, ანუ მომავალ მეუღლეებს, აწონ-დაწონონ ყველა თავისი მოთხოვნა და სურვილი.

თავდაპირველად, ხელშეკრულება ზეპირი ფორმით იღებოდა. დაახლოებით მეთექვსმეტე საუკუნიდან უკვე საქორწინო ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადება დამკვიდრდა.

საბჭოთა კავშირში საქორწინო ხელშეკრულება არ იღებოდა, რადგან მსგავსი ხელშეკრულება ვერ თავსდებოდა იმხანად არსებულ საოჯახო ურთიერთობათა მკაცრი იმპერატიულ რეგულირების ჩარჩოებში. თუმცა შეუძლებელი იყო მეუღლეების მხრიდან საკუთარი ქონებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბების ინიციატივის სრულის ჩახშობა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში არ იყო გათვალისწინებული საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი, მისი ცალკეული ელემენტები მაინც არსებობდა.<sup>67</sup>

საქართველოს საოჯახო სამართალში საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი წარმოიშვა 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ, თუმცა საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა საქორწინო ხელშეკრულების განსაზღვრებას. რადგანაც, საქორწინო ხელშეკრულება წარმოადგენს ქართული კანონმდებლობის სიახლეს, მას ჯერ კიდევ არ აქვს მყარი ნიადაგი რეალურ ცხოვრებაში.

<sup>66</sup>რომან შენგელია. *საოჯახო სამართალი*. თბილისი.,1999. მერიდიანი, გვ 99.

<sup>67</sup> შალვა ჩიკვაშვილი, *საოჯახო სამართალი*. თბილისი., 2004, გვ183.

საქორწინო ხელშეკრულება, გარდა იმისა, რომ იგი არის მექორწინეთა შეთანხმება ქონების რეგისტრაციის თაობაზე, ის აგრეთვე მეუღლეთა შორის ქორწინების განმავლობაში და განქორწინების შემთხვევისათვის საქორწინო უფლებებისა და მოვალეობების განაწილების თაობაზე მიღებული კონსენსუსია.<sup>68</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლის მიხედვით, მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათ შორის ქონებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის საფუძვლები. კანონის მიხედვით საქორწინო ხელშეკრულების დადება სავალდებულო არ არის, იგი მეუღლეთა სურვილზეა დამოკიდებული. საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება განსაზღვრული იყოს მეუღლეთა ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც, ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინების შემთხვევაშიც. კანონი ზუსტად არ განსაზღვრავს იმ მომენტს, როცა მეუღლეებს შეეძლებათ ერთმანეთთან ხელშეკრულების დადება. ხელშეკრულების დადება არ არის დაკავშირებული რაიმე პირობასთან. ქორწინებამდე დადებული საქორწინო ხელშეკრულება ძალაში შევა მას შემდეგ, რაც მოხდება ქორწინების რეგისტრაცია. ხოლო თუ წინასწარ დაიდო საქორწინო ხელშეკრულება და შემდეგ ქორწინება არ მოხდა, ასეთი ხელშეკრულება უნდა გაუქმდეს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქორწინო ხელშეკრულება ქორწინების რეგისტრაციის გარეშე არავითარ უფლება-მოვალეობებს არ წარმოშობს.

საქორწინო ხელშეკრულება იდება კანონით დადგენილი ფორმით და წესით. კანონი იმპერატიულად ითხოვს მის დადებას წერილობით და სანოტარო წესით დადასტურებას. აუცილებელია მოხდეს სანოტარო წესით დადასტურება და არა დამოწმება. სანოტარო წესით დადასტურება, სანოტარო წესით დამოწმებისგან იმით განსხვავდება, რომ ამ დროს ხდება ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება და არა ხელშეკრულების შინაარსის კანონიერების შემოწმება.<sup>69</sup>

---

<sup>69</sup> ლადო ჭანტურია, *შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში*, თბილისი., 1997, გვ. 352.

საქორწინო ხელშეკრულებას უნდა გააჩნდეს ნებისმიერი ხელშეკრულებისათვის აუცილებელი რეკვიზიტები (ხელშეკრულების დადების ადგილი და თარიღი, იმ პირთა ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი, რომელთა შორისაც იდება ხელშეკრულება, ხელშეკრულების შინაარსი და ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერები).<sup>70</sup> საქორწინო ხელშეკრულების ძირითადი ნაწილია მისი შინაარსი, რომელშიც გადმოცემულია მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის ყველა ნიუანსი. შინაარსი შეიძლება შედგებოდეს რამოდენიმე ნაწილისაგან, რომელსაც გააჩნია სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვა. რაც შეეხება ხელშეკრულების ძირითად ნაწილს, მასში შეიძლება განისაზღვროს მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების ცალკეული სახეების რეჟიმი. სანოტარო წესით დამოწმებული ერთი ეგზემპარი რჩება სანოტარო ორგანოში, ხოლო თითო-თითი კი გადაეცემათ ხელშეკრულების მონაწილე მეუღლეებს.

საქორწინო ხელშეკრულება არის სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების ნაირსახეობა და მისი ნამდვილობისათვის სხვა პირობებთან ერთად აუცილებელია მეუღლეები იყვნენ სამართალსუბიექტური, რაშიც იგულისხმება სრული ქმედუნარიანობა, რომელიც იწყება 18 წლის ასაკიდან.

საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეები თავიანთი შეხედულებისამებრ ანაწილებენ ერთმანეთში ქონებრივ უფლება-მოვალეობებს. სამოქალაქო კოდექსი ხელშეკრულების მონაწილეებს სთავაზობს უფლება-მოვალეობათა განხორციელების შესაძლო მიმართულებებს. კოდექსი ადგენს აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლებს. საქორწინო ხელშეკრულებით შესაძლებელია მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობებით შეზღუდვა განსაზღვრული დროით ან რომელიმე პირობის დადგომით. სხვა საფუძვლით მათი შეზღუდვა არ შეიძლება. ვადით შეზღუდვას მაშინ ექნება ადგილი, როდესაც საქორწინო ხელშეკრულება იდება განსაზღვრული დროით. კანონი ზუსტად არ მიუთითებს იმ პირობებზე, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს მეუღლეთა ქონებრივ უფლება-მოვალეობათა შეზღუდვას. ასეთი პირობების განსაზღვრა მეუღლეთა კომპეტენციაში შედის.

---

<sup>70</sup> თ. ზარანდია, ლ. ლაზარაშვილი, შ.ჯანხოთელი, *ტიპური ხელშეკრულების ნიმუშები*, თბილისი, 2006, გვ.270.

საქორწინო ხელშეკრულება რეგულირების შესაძლებლობით მოიცავს მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის თითქმის ყველა სფეროს. მეუღლეთა ქონების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა მთლიანად დამოკიდებულია მათ ნება-სურვილზე. ამ მხრივ კანონის მხრიდან არავითარი შეზღუდვა არ არსებობს.<sup>71</sup> რაც შეეხება მეუღლეთა ქონებრივ უფლება-მოვალეობათა სხვა სახეებს, მათ მიმართ კანონი განსაზღვრულ სიფრთხილეს იჩენს, რაც მეუღლეთა და ოჯახის სხვა წევრთა ინტერესების დარღვევის თავიდან აცილების მიზნითაა განპირობებული. საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება მეუღლეთა სურვილის მიხედვით შეიცვალოს კანონით დადგენილი ურთიერთრჩენის ვალდებულება. რადგან, მის შეცვლას ყოველთვის შეიძლება მოჰყვეს ერთ-ერთი მეუღლის ან ორივეს მატერიალური მდგომარეობის გაუარესება. არ შეიძლება მშობლები შეთანხმდნენ იმაზე, რომ შვილები არჩინოს და აღზარდოს მხოლოდ ერთ-ერთმა მეუღლემ, ხოლო ამ დროს მეორე სრულებით გამოთავისუფლდეს მშობლის უფლებამოსილებისაგან. საქორწინო ხელშეკრულებით, არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხარეთა შორის დავის შემთხვევაში, მის გადასაწყვეტად სასამართლოსადმი მიმართვის კანონით განსაზღვრული უფლების შეცვლა, რადგან აღნიშნული ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა შესახებ კონსტიტუციურ პრინციპებსა და დებულებებს. კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმას, რომ არ შეიძლება საქორწინო ხელშეკრულებით ისეთი პირობების გათვალისწინება, რომელიც მძიმე მატერიალურ და ზნეობრივ მდგომარეობაში ჩააყენებს ერთ-ერთ მეუღლეს. აღნიშნული დათქმა სავალდებულოა ორივე მეუღლისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც კანონის ეს მოთხოვნა არ სრულდება, შეიძლება იგი ხელშეკრულების შეწყვეტის ან გაბათილების საფუძველი გახდეს. ასეთი მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით, კანონი ითვალისწინებს საქორწინო ხელშეკრულების შესრულების პროცესში სასამართლოს აქტიურ ჩარევას. კერძოდ კი, დაინტერესებული მეუღლის თხოვნის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ის პირობები, რომელთა შესრულებაც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს მას.

---

<sup>71</sup> შ. ჩიკვაშვილი. *საოჯახო სამართალი*. თბილისი., 1999, გვ. 78.

საქორწინო ხელშეკრულება, ისევე როგორც ნებისმიერი შეთანხმება მხარეთა შორის არის ნებელობითი აქტი. ამიტომ, მისი დადებაც და შეწყვეტაც მეუღლეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლის მიხედვითაც, საქორწინო ხელშეკრულების შეცვლა ან შეწყვეტა ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით. ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ ურთიერთშეთანხმების საფუძველი შეიძლება გახდეს ერთ-ერთი მეუღლის ან ორივე მათგანის მდგომარეობის შეცვლა( შრომის უნარის დაკარგვა, უმუშევრობა და სხვა).

შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყოს თანაზიარი საკუთრების განაწილების წესი განქორწინების შემთხვევისათვის. თუ ხელშეკრულებით მეუღლეთა შორის შემდგომი პერიოდის რაიმე ვალდებულების შესრულება იყო გათვალისწინებული, მაგალითად, მკურნალობის ხარჯებში მონაწილეობა, ხელშეკრულება ამ ნაწილში განქორწინების შემდეგაც ძალაში რჩება. საქორწინო ვადის გასვლა, რომელიც დადებული იყო განსაზღვრული ვადით, იწვევს საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტას. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მათ შეუძლიათ დადონ უკვე ახალი საქორწინო ხელშეკრულება. შესაძლებელია ასევე საქორწინო ხელშეკრულების გაბათილებაც. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მხარეებმა საქორწინო ხელშეკრულება დადეს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი აკრძალვების გაუთვალისწინებლად.

## თავი მეხუთე

### მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა

ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ მეუღლეები ვალდებული არიან იზრუნონ ერთმანეთზე და მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს. ეს მარტო მათი ზნებრივი მოვალეობა კი არ არის, არამედ ეს არის მათი იურიდიული ვალდებულება. მეუღლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ურთიერთრჩენის მოვალეობას ნებაყოფლობით ასრულებს, თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც მეუღლეები უარს ამბობენ მატერიალური დახმარების გაწევაზე, ანდა ვერ თანხმდებიან სარჩოს სახეობის ან მისი ოდენობის შესახებ.<sup>72</sup> ასეთ დროს, მატერიალური დახმარების საჭიროების მეუღლეს უფლება აქვს სასამართლოს წესით მოითხოვოს სარჩოს მიღება. კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ პირობებს, რომელთა არსებობასაც აუცილებელია იმისათვის რომ, მეუღლემ მოითხოვოს სარჩოს მიღება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1182-ე მუხლის მიხედვით, სარჩოს მიღების შესახებ მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვს მეუღლეს, რომელიც შრომისუუნაროა და მატერიალურ დახმარებას საჭიროებს. აგრეთვე ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში.

აუცილებლობის შემთხვევაში, მეუღლეთა მიერ ერთმანეთის მიმართ მატერიალური დახმარების წესი და ფორმები შეიძლება განისაზღვროს წერილობით შეთანხმებაში, რომელიც ექვემდებარება სანოტარო დამოწმებას. ასეთი შეთანხმება შეიძლება წარმოადგენდეს საქორწინო ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. შეთანხმებაში შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სარჩოს გადახდის პირობები, რომელიც განსხვავდება სასამართლოს წესით სარჩოს გადახდევინების კანონით გათვალისწინებული პირობებისაგან.<sup>73</sup>

ერთ-ერთი მეუღლის შრომისუუნარობა და მატერიალური დახმარების საჭიროება უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს. იმ შემთხვევაში, თუ მეუღლე შრომისუუნაროა, მაგრამ

<sup>72</sup> რ. შენგელია. ე შენგელია. *მემკვიდრეობის სამართალი*, თბილისი, 2011. გვ.85-90.

<sup>73</sup> შ.ჩიკვაშვილი. *საოჯახო სამართალი*, თბილისი, 2004. მერიდიანი.

მატერიალურ დახმარებას არ საჭიროებს, იგი ვერ ისარგებლებს მეორე მეუღლისაგან სარჩოს მოთხოვნის უფლებით.<sup>74</sup> საოჯახო კანონმდებლობა არ იძლევა „შრომისუუნარობის“ და „მატერიალური დახმარების საჭიროების“ ცნებას. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით შრომისუუნაროდ ითვლება პირი, რომელმაც მიაღწია საპენსიო ასაკს (მამაკაცები 65 წლიდან, ქალები კი, 60 წლიდან) და ინვალიდია, ჯანმრთელობის გამო არ შეუძლია იშრომოს და თავად ირჩინოს თავი. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ პირს შრომისუუნარობა დროებით აქვს დაკარგული, ეს შემთხვევა არ წარმოადგენს სასამართლო წესით სარჩოს მიღების საფუძველს. რაც შეეხება, მატერიალური დახმარების საჭიროებას, აქ იგულისხმება მეუღლის იმ სახსრების უქონლობა, რომელიც აუცილებელია მისი არსებობისათვის.

ალიმენტზე უფლება მეუღლეებს წარმოეშობათ, მიუხედავად იმისა, თუ რით არის განპირობებული შრომისუუნარობა- საყოფაცხოვრებო ტრამვით, შრომითი დასახიჩრებით, საერთო ან პროფესიული დაავადებით და ა.შ. აქ მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შრომისუუნარობა სახეზე იყოს სასამართლოში სარჩელის განხილვის მომენტში.

საალიმენტო ვალდებულების მქონე მეუღლის მიერ სარჩოს მიცემის „შესაძლებლობა“ მიგვანიშნებს იმაზე, რომ მეუღლეები, მშობლებისა და შვილების მსგავსად, ვალდებულნი არიან არჩინონ ერთმანეთი, მიუხედავად იმისა, მათ ეს შესაძლებლობა აქვთ თუ არა. გარდა ამისა, რჩენის მოვალეობაში იგულისხმება ისეთი უზრუნველყოფა, როცა ალიმენტს გადამხდელი მეუღლე მისი გადახდის შემდგომ თვითონ აღარ აღმოჩნდება საარსებო მინიმუმ ის გარეშე.<sup>75</sup>

შრომისუუნარო და მატერიალური დახმარების საჭიროების მქონე მეუღლის სარჩელის განხილვის დროს სასამართლომ უნდა გაარკვიოს მეორე მეუღლის მატერიალური მდგომარეობა, და თუ მიიჩნევს, რომ მისგან შესაძლებელია ალიმენტის გადახდევინება, ამ შემთხვევაში დააკმაყოფილებს მოთხოვნას. იმ შემთხვევაში თუ ალიმენტის გადახდევინება გამოიწვევს მეორე მეუღლის მატერიალური მდგომარეობის საარსებო მინიმუმამდე გაუარესებას, მაშინ სასამართლო ასეთ სარჩელს არ დააკმაყოფილებს.

<sup>74</sup> Жилинкова . И. *Брачный контракт (договор)*. Харьков., 2001. с 6.

<sup>75</sup> შალვა ჩიკვაშვილი, *საოჯახო სამართალი*. თბილისი., 2004, გვ 209.

იქიდან გამომდინარე, ვინაიდან ორსულ ქალს ჯანმრთელობაზე ზრუნვისა და მოვლისათვის ჩვეულებრივზე მეტი სახსრები ჭირდება, ხოლო ჩვილი ბავშვის მოვლას და კვებას დედა დამოუკიდებლად ვერ შეძლებს, ცოლის უფლებაა, ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში მოითხოვოს სარჩო ქმრისგან. ისიც უნდა ითქვას, რომ სამ წლამდე ბავშვის ყოლისათვის ალიმენტის მიღება მეორე მეუღლისაგან შეუძლია მხოლოდ ქალს (ცოლს) ქმრისგან და არა ქმარს (ცოლისგან), რომელსაც აგრეთვე შეიძლება დარჩეს სამ წლამდე ბავშვი აღსაზრდელად. არადა ცნობილია, რომ საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები. სამოქალაქო კოდექსის 1182-ე მუხლით კი მეუღლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი აშკარად ირღვევა და წინააღმდეგობაში მოდის სამოქალაქო კოდექსის 1152-ე მუხლთან, რომლიც ეხება სწორედ მეუღლეთა თანასწორუფლებიანობას. ქმარი ვალდებულია ცოლის სასარგებლოდ გადაიხადოს ალიმენტი. თუმცა აუცილებელია სასამართლომ ამ დროსაც გაითვალისწინოს ქმრის მატერიალური მდგომარეობაც.

მეუღლეთა შორის საალიმენტო-სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება შენარჩუნებული იქნას მათი განქორწინების შემდეგაც. განქორწინების შემდეგ ყოფილი მეუღლის მიმართ სარჩოს გადახდის დაკისრება არატიპიური მოვლენაა და სასამართლოს მხრივ მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას.<sup>76</sup>

სასამართლოს უფლება აქვს გაათავისუფლოს ერთი მეუღლე მეორის რჩენის ვალდებულებისაგან ან განსაზღვრული დროით შეზღუდოს ეს მოვალეობა.<sup>77</sup> ამ უფლების გამოყენება შეიძლება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. ესენია:

1. ქორწინებაში ხანმოკლე ვადით ყოფნა; კანონანით არ არის განსაზღვრული, თუ რა ითვლება მეუღლეთა ხანმოკლე დროით ქორწინებად. საკითხს ამასთან დაკავშირებით წყვეტს სასამართლო საქმის კონკრეტული გარემოებიდან. სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს რომ, ქორწინება რომელიც გრძელდებოდა ერთიდან ხუთწლამდე, შეიძლება ჩაითვალოს ხანმოკლე დროით ქორწინებად მეუღლეთა ასაკისა და ქორწინების

<sup>76</sup> რ. შენგელია. *ოჯახის წევრთა სამართლებრივი ურთიერთობანი*. თბილისი.,1999, გვ.10.

<sup>77</sup> შ. ჩიკვაშვილი. *საოჯახო სამართალი*. თბილისი.,2004, მედიანი.

შეწყვეტის მიზეზთა გათვალისწინებით. ხანმოკლე ვადით ქორწინებისას საალიმენტო ვალდებულების შეზღუდვა ან მისგან გათავისუფლება დაკავშირებულია იმასთან, რომ ყოფილ მეუღლეთა საალიმენტო ვალდებულებას საფუძვლად უდევს მათ შორის ხანმოკლე ოჯახური კავშირი. ხანმოკლე დროით ქორწინებისას ასეთმა კავშირმა ვერც მოასწრო აღმოცენება და შესაბამისად, არც აღმოცენდა საფუძველი მეუღლეთა განსაზღვრული ვადით ურთიერთრჩენის ვალდებულების შესახებაც.

2. სარჩოს მომთხოვნი მეუღლის მიერ უღირსი საქციელის ჩადენა სარჩოს გადამხდელის მიმართ; (მაგალითად: ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელება). ალიმენტის მომთხოვნი მეუღლის უღირსი საქციელი წარმოადგენს ალიმენტზე უარის თქმის საფუძველს, იმისგან დამოუკიდებლად, ასეთ საქციელს ადგილი ჰქონდა ქორწინებამდე, ქორწინების განმავლობაში თუ განქორწინების შემდეგ. თუმცა აღსანიშნავია, რომ თუ მეუღლის უღირს საქციელს ადგილი ჰქონდა ქორწინებამდე და მეორე მეუღლემ იცოდა ამის შესახებ, ის არ არის უფლებამოსილი ამ გარემოებაზე დაყრდნობით სამართლოს წინაშე დააყენოს ალიმენტისაგან გათავისუფლების საკითხი. კანონი მეუღლეთა უღირსი საქციელის ცნებას არ განმარტავს. აღნიშნულ საკითხსაც საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე წყვეტს სასამართლო. უდაოა, რომ მეუღლის უღირს საქციელად ზემოთ დასახელებული მიზეზის გარდა უნდა ჩაითვალოს მის მიერ ჩადენილი სისიხლის სამართლის დანაშაული, მძიმე სამართალდარღვევა და სხვა. უღირს საქციელად ასევე შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ქმედება, რომელიც მართალია არ არის აკრძალული კანონით, მაგრამ ეწინააღმდეგება ზოგადად დადგენილი მორალისა და ზნეობის ნორმებს.

3. სარჩოს მომთხოვნი მეუღლის შრომისუუნარობის გამოწვევა ალკოჰოლური სასმელების ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებით;

4. მოსარჩელის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენა. საკითხს იმის შესახებ, მთლიანად უნდა გათავისუფლდეს მოპასუხე ალიმენტის გადახდისაგან ან შეეზღუდოს მას ეს მოვალეობა განსაზღვრული ვადით, წყვეტს სასამართლო. სასამართლო საალიმენტო თანხის ოდენობას განსაზღვრავს ყოველთვიური მყარი თანხის სახით.

თანხის ოდენობა დამოკიდებულია მხარეთა მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობაზე. ამიტომ, ყველი კონკრეტული საქმე ალიმენტის დანიშვნის შესახებ საჭიროებს კონკრეტულ მიდგომას. ალიმენტის დანიშვნის დროს ძირითადი როლი აკისრია სასამართლოს, რომელმაც დეტალურად უნდა გამოიკვილოს საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოება. კერძოდ კი: რა ოდენობისაა მოპასუხე მეუღლის ხელფასი, პენსია ან სხვა შემოსავალი, გააჩნია თუ არა რაიმე ვალდებულება მოპასუხე მეუღლეს სხვა პირების მიმართ, როგორია მისი ყოფითი პირობები, როგორია მოსარჩელე მეუღლის შრომისუნარობის ხარისხი, ჰყავს თუ არა სრულწლოვანი შვილები და სხვა.

ალიმენტის, მეუღლისაგან სარჩოს მიღების უფლების არსებობა არ არის განსაზღვრული დროის გარკვეული მონაკვეთით. ასეთი უფლება მეუღლეს გააჩნია, მანამ ვიდრე მისი საჭიროება იარსებებს.<sup>78</sup> მეუღლეთა შორის საალიმენტო-სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდება შემდეგი გარემოებების არსებობისას, თუ: შრომისუნარი აღუდგა მეუღლეს, რომელიც მეორე მეუღლისგან იღებდა სარჩოს, აღარ არსებობს მატერიალური დახმარების საჭიროება იმ მეუღლის მიმართ, რომელიც იღებდა სარჩოს, ადრე შეწყდა სარჩოს მიმღები ცოლის ორსულობა, დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში გარდაიცვალა ბავშვი, რომლის დედაც ქმრისგან იღებდა სარჩოს, სარჩოს მიმღები ყოფილი მეუღლე ხელახლა დაქორწინდა. აღნიშნულის გარდა, საალიმენტო ვალდებულება შეიძლება შეწყდეს, ალიმენტის გადამხდელი პირის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესების შემთხვევაში, რის გამოც მას არ აქვს საშუალება გადაიხადოს ალიმენტი. საალიმენტო ვალდებულების შეწყვეტას გამოიწვევს მისი მონაწილე ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება.

---

<sup>78</sup> ო. ზოიძე. *მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი*, თბილისი., 2002.

## დასკვნა

ნაშრომის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა მეუღლეთა უფლება-მოვალეობების სამართლებრივი კვლევა.

საქორწინო ინსტიტუტი კაცობრიობის განვითარების უწყვეტი, თანმდევი და უაღრესად მნიშვნელოვანი კატეგორიაა.

ახალი სამოქალაქო კანონმდებლობის შემუშავებამ მეუღლეთა უფლება-მოვალეობის პრობლემათა ახლებურად ხვევისა და გადაწყვეტის აუცილებლობა დააყენა დღის წესრიგში. მოქმედი სამართლებრივი ნორმების გამოყენების პროცესში თავს იჩენს სასამართლო და სანოტარო პრაქტიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ისევე როგორც, ნებისმიერი კანონმდებლობა, ქორწინებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმებიც დროთა განმავლობაში მოითხოვს გარკვეული სახით დახვეწასა და სრულყოფას. აღნიშნული კი, თავის მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია ქორწინებასთან წარმოშობილ სხვადასხვა სადაო საკითხის რაციონალურად გადაწყვეტის მიზნით.

თანამედროვე საქორწინო სამართალი ითვალისწინებს მეუღლეთა თანასწორობის და თავისუფლების პრინციპს. იმისათვის, რომ საფუძვლიანად იყოს განხილული მეუღლეთა უფლება მოვალეობასთან დაკავშირებული საკითხები, აუცილებელია აღნიშნული პრინციპის განუხრელად დაცვა. შესაბამისად წარმოდგენილია საკითხის კვლევა და ამ მიმართულებით შემუშავებულია დასკვნების სისტემა.

საქორწინო ინსტიტუტის, კერძოდ კი მეუღლეთა უფლება-მოვალეობების შესწავლამ საშუალება მოგვცა გავვეკეთებინა დასკვნები და ჩამოგვეყალიბებინა საკანონმდებლო და პრაქტიკული მნიშვნელობის რეკომენდაციები.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი რეკომენდაციები დაფუძნებულია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას შესწავლილი იურიდიული მასალის ანალიზზე, პრაქტიკოსი იურისტების, მათ შორის, მოქმედი ნოტარიუსების, მოსაზრებებსა და

რიგითი მოქალაქეების გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების სტატისტიკურ ანალიზზე.

1. ნაშრომში განხილულია ქორწინების ინსტიტუტის ზოგადი მიმოხილვა საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითზე. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მფარველობის სფეროში შემავალ საქართველოს იურიდიული პირის-სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. ქორწინების ნამდვილობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს სწორედ რეგისტრაცია შესაბამის სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში. ქორწინების რეგისტრაციისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ასევე მექორწინეთა ასაკი, რომელიც კანონმდებლობის მიხედვით შეადგენს 18 წელს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გამოკვლეულია იმ ქვეყნების პრაქტიკა, სადაც მინიმალურ საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელზე კალები, ზოგიერთ შემთვევაში 14-15 წელი და მიგვაჩნია, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საქორწინო ასაკი-18 წელი სრულებით შეესაბამება ჩვენს ქვეყანაში არსებულ რეალობას, და აღნიშნული ასაკის უფრო დაბლა დაწევა არ იქნება სწორი.

2. მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობა კრძალავს ქორწინებას იმ პირებს შორის, რომლებიც ნათესაობის ისეთ ხარისხში იმყოფებიან, რომელიც სახიფათოა შთამომავლობისთვის. ჩვენი კანონმდებლობით ზუსტდაა გაწერილი თუ ვის შორის ქორწინებაა კანონით აკრძალული. თუმცა მათ რიცხვს არ მიეკუთვნებიან გვერდითი შტოს ნათესავები, რომლებსაც განეკუთვნებიან დეიდაშვილის, მამიდაშვილის, ბიძაშვილის, დეიდების და დისშვილების, ბიძებსა და დისშვილის, მამიდასა და ძმისშვილის და სხვათა ქორწინება. რატომ უნდა აღნიშნული ჩვენი ტარადიციებით და ზნეობრივი ნორმებით არის აკრძალული, მაგრამ ვფირობ, რომ ეს იმდენად სახიფათო თემაა, რომ აუცილებელია მოხდეს კანონმდებლობაში აღნიშნულის ასახვა, რათა თავიდან ავიცილოთ შთამომავლობის არასასურველი შედეგები. საზღვარგარეთის რამოდენიმე

ქვეყნის კანონმდებლობა აკეთებს აღნიშნულის შესახებ მითითებას. მაგალითად ბულგარეთი და საფრანგეთი. მათი კანონმდებლობით ზუსტადაა გაწერილი გვერდითი შტოს რომელ ნათესავებს შორის იკრძალება ქორწინება.

3. ქორწინების დამაბრკოლებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს ასევე საქორწინო პირათაგან თუნდაც ერთ-ერთის მხარდაჭერის მიმდებარე აღიარება, სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მხოლოდ სულით ავადმყოფობა და ჭკუასუსტობა ითვლება ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად. სხვა სახის ავადმყოფობა, რა მძიმეც არ უნდა იყოს იგი, დაქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად არ მიიჩნევა. სამწუხაროდ ჩვენს კანონმდებლობაში არ არის გათვალისწინებული აკრძალვის საფუძველად ისეთი დაავადება, როგორცაა შიდსი. ჩვენი აზრით, აღნიშნული დაავადება საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას იმ თვალსაზრისით, რომ იგი წარმოადგენს მძიმე, განუკურნებელ და სოციალურ დაავადებას არა მხოლოდ დასაქორწინებელი პირებისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის. ამიტომ მიგვაჩნია, რომ შიდსს უნდა მიენიჭოს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების მნიშვნელობა, როგორც სულით ავადმყოფობის და ჭკუასუსტობის შემტვევაში და ეს ცვლილება ასისახოს სამოქალაქო კოდექსში.

4. უძრავ ქონებაზე უფლების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველს როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, წარმოადგენს მისი სახელმწიფო რეგისტრაცია. თუმცა ჩვენი კანონმდებლობის, კერძოდ კი საქართველო სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის მიხედვით, გაურკვეველია იმ მეუღლის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც ფაქტობრივად არის საერთო ქონების მესაკუთრე, თუმცა არ არის რეგისტრირებული როგორც მესაკუთრე, ამიტომ მას არ აქვს შესაძლებლობა განკარგოს თანაზიარი ქონება. ამიტომ ვფიქრობთ რომ, აღნიშნული ნორმა საჭიროებს დამატებას იმის შესახებ რომ, თანაზიარი უძრავი ქონების რეგისტრაცია მოხდეს ორივე მეუღლის სახელზე და არა მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლის, როგორც ახლანდელ კანონმდებლობაშია გათვალისწინებული.

5. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ საოჯახო სამართლის გარკვეული ნორმები წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. კერძოდ კი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1182-ე მუხლის მიხედვით, სამ წლამდე ბავშვის ყოლისათვის ალიმენტის მიღება მეორე მეუღლისგან შეუძლია მხოლოდ ქალს (ცოლს) და არა ქამრს (ცოლისგან), რომელსაც აგრეთვე შეიძლება დარჩეს სამ წლამდე ბავშვი აღსაზრდელად. არა და ცნობილია რომ საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი ვალდებულებები. ამიტომ სამოქალაქო კოდექსის 1182-ე მუხლი, რომელიც არღვევს თანასწორუფლებიანობის პრინციპს, წინააღმდეგობაში მოდის სამოქალაქო კოდექსის 1152-ე მუხლთან, რომელიც ეხლება სწორედ მეუღლეთა თანასწორუფლებიანობას. ამიტომ, იმისათვის რომ, თავიდან იქნას აცილებული კანონის ნორმებთან დაკავშირებული გაურკვევლობა აუცილებლად მიმაჩნია მოხდეს ამ ორი ნორმის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.

ბოლოს, გვინდა კიდევ ერთხელ დავაფიქსიროთ ჩვენი მოსაზრება, რომ წინამდებარე ნაშრომში მოცემული საკანონმდებლო ინიციატივები და სამართლებრივი რეკომენდაციები ხელს შეუწყობს მეუღლეთა შორის უფლება-მოვალეობათა თანასწორად დაცვის პრინციპს, მეუღლეთა უფლება-მოვალეობების განხორციელების პროცესში წარმოშობილი სხვადასხვა პრობლემური სიტუაციის ოპტიმალურად გადაწყვეტას და მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფა

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი
4. საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსი;
5. შალვა ჩიკვაიშვილი, საოჯახო სამართალი, თბილისი 2004;
6. მ. ბექაია, ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, თბილისი, 1980.
7. ს. ჯორბენაძე, საბჭოთა საოჯახო სამართალი, თბილისი, 1959;
8. ს. ჯორბენაძე, საოჯახო სამართლის საფუძვლები კრებულში „სამართლის საფუძვლები“, თბილისი, 1977;
8. ნადარეიშვილი, ქართული საოჯახო სამართლის ისტორია, თბილისი 1965;
9. ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953;
10. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი 1928;
11. ივ. ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი 2002;
12. ივ. ჯავახიშვილი, ტომი VII, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1983;
12. ვახტანგ VI-ის სამართალი წიგნი, თ. ენუქიძის მიერ დამზადებული ტექსტით, გამოკვლევათა და ტერმინთა საძიებლით, თბილისი, 1955;
13. რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო და მემკვ იდრეობის სამართალი, თბილისი 2015;
14. რ. შენგელია, ქორწინება და მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი, თბილისი, 1999;
15. ი. ფუტყარაძე, ქორწინების წესები ქართული სამართლის მიხედვით, ეკონომიკისა და სამართლის ინ სტიტუტის შრომები, თბილისი, 1977;
16. ლ. შოშიაშვილი, ქორწინება და მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, თბილისი 2003;
18. ნ. შოშიაშვილი, მეუღლეთა პირადი უფლება-მოვალეობანი, ჟურნალი „სამართალი“, თბილისი, 2002;
19. ნ. შოშიაშვილი, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები სანივთო პრაქტიკაში, დისერტაცია, თბილისი 2004;

20. ბ. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003;
21. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნ აწლი, თბილისი 2011;
22. ვალერიან მეტრეველი, ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, 2003;
23. იურიდიული ენციკლოპედია, თბილისი, 2008;
24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, თბ ილისი, 2003;
25. თ. ზარანდია, ტიპიური ხელშეკრულების ნიმუშები, თბილისი 2006;
27. Комментарий К Семейному кодексу РФ/ Под. Ред. кузнецова И. М. М., 1996, с 10;
28. Мослов В.Ф, Подопригора З. А, Пушкtn А. А, Действуношее законогательство о браке и семье. Харьков, 1992, с 141;
29. Кородкова Л. П, Необходимо универсальное понятне семье, «Правоведение» 1980, с 63;
30. Л Морган Древнее обииество, М., 1936, с 200;
31. Антокольская М. В. Семейное Право, М., 1996, с 125;